ალია
რეკლამა ალია
577 44-44-42
577 99-99-96

N7/2937/ 17-20 იანვარი 2014 წ ფასი 1 ლ
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან



# ირაკლი ღარიბაშვილი: „ეს მართლა სკანდალია!“



რა წერია სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ წერილების სრულ ვერსიაში? რას ატყუებს ექსპრეზიდენტი ფრანგულ მხარეს? რატომ იკვეთება სააკაშვილის წერილში მაფიოზური სქემა? კიდევ რა თანხები შეიძლება აღმოუჩინონ კეზერაშვილს?

ვრცლად გვ. 5



# რა ქონებას მალავს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე?



რა ქონება შეიძინა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი შიხიაშვილმა და რისთვის დაასაჩუქრეს ის უხვად „ნაციონალებმა“? ვისზე გადააფორმა ქონება და რატომ არ საუბრობს აქტიურად „ნაციონალების“ დანაშაულებზე?

ვრცლად გვ. 7



# ხელოვნების მუზეუმიდან 300 სიწმინდე დაიკარგა?



რატომ არ მიმართავს კულტურის სამინისტრო პროკურატურას საქართველოდან გატანილი სიწმინდეების მოსაძიებლად? ვისთან მივა კვალი და რატომ არ იწყებს ოდიშარიას უწყება მუზეუმებში დაცული ხელოვნების ნიმუშების აღრიცხვას?

ვრცლად იხილეთ გვ. 11

## მიზეზი, რის გამოც „ნაცმოძრაობა“ უნდა გაუქმდეს




## რაღაც ვერ არის კარგად პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურში...



ის, რაც ვერ ნახეთ ტელევიზიით

## „ხადური ამბობს ერთს, პრემიერი — მეორეს, სანიკიძე — მესამეს“



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისში შესაძლოა, შუქნიშნები გაითიშოს



თბილისის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის გამო, საკრებულოს უმცირესობის წარმომადგენლები ახალ საფრთხეებზე საუბრობენ.

„ინფორმაცია, რომელიც მივიღეთ, საკმაოდ შემაშფოთებელია. მაგალითად, შესაძლოა, საფრთხე შეექმნას საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას, მათ შორის, არ გამოვრიცხავთ, საქმე იქამდე მივიდეს, რომ დედაქალაქში შუქნიშნებიც კი გაითიშოს. ასევე, კეთილმოწყობის მიმართულებით შეიძლება ნაგვის გატანის პრობლემა წარმოიშვას. პრობლემები ექმნება შემოერთებული სოფლების წყალმომარაგების საკითხს, ვაუჩერების დაფინანსებას და ა.შ. ეს არის მხოლოდ მცირე ჩამონათვალი იმ საფრთხეებისა, რომელიც შესაძლოა, ბიუჯეტის ჩავარდნის შემთხვევაში იწვნიოს დედაქალაქმა. კიდევ ერთხელ მივმართავთ საკრებულოს უმრავლესობას, მზად ვართ, მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია მივაწოდოთ მათ და მოვუწოდებთ, ნუ მიიღებენ ბრმად მათი ბელადების შემოთავაზებულ მითითებებს, რომელიც ბიუჯეტის ჩავარდნას გულისხმობს“, — განაცხადა საკრებულოს უმცირესობის წევრმა ირაკლი ნადირაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## კეზერაშვილის ექსტრადიციის პროცესი მიმდინარეობს



იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის ექსტრადიციის პროცესი საფრანგეთში მიმდინარეობს.

„მე პირადად ვისურვებდი, რომ ექსტრადიციის საკითხისადმი იყოს რაც შეიძლება მშვიდი განწყობა, რათა ფრანგ მოსამართლეს მიეცეს საშუალება, პირუთვნელ და ობიექტურ, სიმშვიდის პირობებში გადაწყვიტოს მისი საქართველოში ექსტრადიციის საკითხი“, — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

დავით კეზერაშვილმა ქართველი ხალხის ძარცვა ფინანსური პოლიციიდან დაიწყო. რას წარმოადგენდა 2004 წლამდე კეზერაშვილი? არაფერს, ის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში კედლებზე მიხეილ სააკაშვილის პლაკატებს აკრავდა. ვინ არის დღეს კეზერაშვილი? პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისთვის დიდი აღმოჩენა და ჩვენი ქვეყნისთვის დიდი უბედურება. მას ბრალი ედება იარაღით უკანონო ვაჭრობასა და „შავი ფულით" „ნაციონალური მოძრაობის" დაფინანსებაში. როგორც „ალიას" 15 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა, კეზერაშვილის კომპანიას ჰქონდა მილიარდნახევრიანი ბრუნვა მას შემდეგ, რაც ის გადავიდა კერძო სექტორში. ეს მოხდა 2008 წლის ომის შემდეგ. დავით კეზერაშვილის ყოფილი მოადგილე (ფინანსურ პოლიციაში), **სერგო ჯავახიძე** „ალიასთან" იმ დეტალებს იხსენებს, როდის და როგორ დაიწყო სააკაშვილის რეჟიმის დაფინანსება:





– მე კეზერაშვილის მოადგილეობიდან და ოპერატიულის უფროსობიდან იმიტომ წამოვედი, რომ მინდოდა თუ არა, უნდა ვყოფილიყავი თანამონაწილე იმისა, რასაც ეგენი აკეთებდნენ. უნდა მცოდნოდა ყველა ის საქმე, რითაც ფულის მობილიზებას აკეთებდნენ. ფულის მობილიზებას „ნაციონალებისთვის" აკეთებდა ფინანსური პოლიცია. არ ვიყავი მათთვის სანდო პირი და შესაბამისად, არ მახედებდნენ, ეს ფული საიდან და როგორ მოდიოდა.

**— სერგო, გამოდის, იარაღით უკანონო ვაჭრობა არის ერთი ფრაგმენტი და კეზერაშვილის დანაშაულებრივი საქმიანობა იწყება გაცილებით ადრე.**

– რა თქმა უნდა... როგორც კი ფინანსური პოლიცია შეიქმნა და კეზერაშვილი დაინიშნა უფროსად, ერთადერთი დავალება ზემოდან ის იყო, რომ პარტიისთვის მომხდარიყო ფულის მობილიზება, ოღონდ ეს ხდებოდა ადგილობრივი ბიზნესის დაყაჩაღების ხარჯზე. სხვათა შორის, მეც მქონდა რამდენიმე საქმე... მაგალითად, გოგი ლიპარტელიანს ჰქონდა რაღაც დარღვევები აქციზთან დაკავშირებით, გოგი თოფაძეს ჰქონდა, მაგრამ არც ერთი არ დამიყაჩაღებია. მე მათ ვთხოვდი იმას, რაც იყო ბიუჯეტის დავალიანება... ჩემი წამოსვლის შემდეგ ციფრები გაათმაგდა და გაოცმაგდა. ესენი შევარდნაძის პერიოდში ჩათვლებს აკეთებდნენ, მაგრამ მე როგორც კი მოვედი, დავუძახე, პირადად შევხვდი და საქმე მოვაგვარე. ამის შემდეგ ათმაგი მოსთხოვეს, გამოვიდნენ და თვითონ ილაპარაკონ. მე ამ თანამდებობაზე 7 თვე გავძელი, მერე გადავედი ისანი-სამგორის საგადასახადოს უფროსად, ბოლოს კი თბილისის საგადასახადოს უფროსად. ფინანსური პოლიცია თავიდან მე გავაკეთე, კადრები ჩემს ხელში გადიოდა. ძალიან ძნელი იყო, მაგ პერიოდში მე ვითვლებოდი არა „ნაციონალების" კადრად, არამედ ჟვანიას კადრად და რა ფინანსური დინებებიც შემდეგ დაიწყო, ამაში უკვე აღარ მენდობოდნენ.

**— როგორც ვიცი, შენსა და კეზერაშვილს შორის მოხდა დაპირისპირება და ამიტომ წამოხვედი... ამბობენ, რომ თავისავე კაბინეტში ხელი გაარტყი.**

– გორის ფინანსური პოლიციის უფროსი გავათავისუფლე დაუკითხავად, საკმაოდ სერიოზული მიზეზი იყო და უკან არ დავიხიე. ჩემი აზრით, ის ოქრუაშვილის კადრი იყო, მან კეზერაშვილს უთხრა და ამის გამო დაიძაბა სიტუაცია. ამბობენ, თითქოს ჩვენ კაბინეტში ვიჩხუბეთ, ასე არ ყოფილა... კონფლიქტი იყო, მაგრამ ერთმანეთს ხელით არ შევხებივართ. მოკლედ, მაშინ პრეზიდენტისგან მოდიოდა დირექტივები: დაიჭირეთ ხუთი კაცი, დაიჭირეთ ათი კაცი... მე ამის გაკეთება ნამდვილად არ შემეძლო. არადა, ესენი ამას დაჟინებით ითხოვდნენ. თავიდან ფინანსური პოლიცია ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო, მაგრამ როგორც კი კეზერაშვილი პრეზიდენტის ნომენკლატურა გახდა, ამ თანამდებობაზე ადამიანს ნიშნავდა სააკაშვილი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით. კეზერაშვილს მინისტრის რანგი ჰქონდა, მაგას ზურაბ ნოლაიდელი ვერასოდეს ვერ მოხსნიდა. ახლა სააკაშვილი თვითონ აღიარებს, რომ ეს ადამიანი იყო „ნაციონალური მოძრაობის" დამფინანსებელი, მეც ვეთანხმები, მაგრამ ის დამფინანსებელი იყო თავიდანვე, როგორც კი სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა. კეზერაშვილის ხელში ფინანსური პოლიცია უკვე იყო დანაშაულებრივი სტრუქტურა.

**— გამოდის, გამოძიება იმ დროიდან უნდა დაიწყოს.**

– რაღაც-რაღაცებზე საქმეებიც არის აღძრული, ფინანსური პოლიცია ძალიან ბევრ ბიზნესს ლობირებდა, სპირტით დაწყებული, საწვავით დამთავრებული, მაგრამ იარაღი უკვე სხვა რამეა, ეს საერთაშორისო დანაშაულია და აქ აღძრული საქმეები გაუფერულდა.

**— რატომ გაუფერულდა? თუ დამტკიცდება, რომ „ნაცმოძრაობა" „შავი ფულით" ფინანსდებოდა, მაშინ უნდა აიკრძალოს... ისე, შენ გექნება ინფორმაცია, საქართველოში კეზერაშვილი კონკრეტულად რა ბიზნესებს ლობირებდა დიდი ფულის სანაცვლოდ?**

– საქართველოში არც ერთი ბიზნესი არ კეთდებოდა ფინანსური პოლიციის გარეშე, ვისაც უნდოდათ, გააჩერებდნენ, ვისაც უნდოდათ, საერთოდ გაატყავებდნენ. კეზერაშვილს კონკრეტული სეგმენტი არ ეკავა, ის აკონტროლებდა ყველაფერს. საიდანაც სჭირდებოდათ, იქიდან იღებდნენ თანხებს. მე რომ არაფერი ვთქვა, ისედაც ძალიან ბევრი ბიზნესმენი გამოჩნდა დაზარალებული და გაუბედურებული. ბიზნესმენი „ნაციონალების" მხარდამჭერი იყო თუ არა, მაგას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, კეზერაშვილი მოსთხოვდა 3 თუ 10 მილიონს და კაი დედმამიშვილი იყო, არ მიეტანა. რად უნდოდა ამას აქტი, რად უნდოდა ამას საკანონმდებლო ბაზა, რევიზია და ასე შემდეგ? დაავალებდნენ და მიიტანდნენ.

**— შენ კონკრეტულად რა საქმეზე დაგიჭირეს?**

– სიმართლე გითხრა, დღემდე ვერ გავარკვიე, ჩემი დაჭერის უკან ვინ იდგა, მაგრამ საბოლოო ჯამში საქმე შეაკერინეს ფინანსურ პოლიციას. დავალება კეზერაშვილისგან მოდიოდა თუ სხვა მაღალჩინოსნისგან, ეს არ ვიცი. ჩემს საქმეს რომ გადახედო, აბსურდია. მე ვფიქრობ, საბაჟო ტერმინალ „ოპიზას" ხელში ჩაგდების მიზნით დამიჭირეს. მართალია, მე ვიყავი საგადასახადოს უფროსი, მაგრამ ინფორმაცია „ოპიზაში" უფრო მეტი იყო, თუ ვინმეს საქართველოში რამე შემოჰქონდა, ყველა შემოდიოდა და მეუბნებოდა: აი, ჩვენ მალე უნდა გაგვიშვა, რადგან ტვირთი ამას და ამას ეკუთვნისო. ყველა ასახელებდა, ამ ტვირთების უკან ვინ იდგნენ. დავუშვათ, გენპროკურორს საიდანღაც შემოჰქონდა საქონელი, მე რატომ უნდა მცოდნოდა ამის შესახებ? როგორც ჩანს, ძალიან ბევრი ინფორმაცია დამიგროვდა და დამიჭირეს. მერე „ოპიზა" წაიღო ფინანსურმა პოლიციამ და თვითონ გახსნეს ახალი ტერმინალი კახეთის ტრასასთან, „პეპელასთან". იქ უკვე ფინანსური პოლიციის ტიპები იყვნენ ხელმძღვანელები. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას", გამოდის, რომ დანაშაულებრივი ორგანიზაციაა, ალბათ, უამრავი ბიზნესმენი დაადასტურებს და მისცემს ჩვენებას, თუ როგორ „ახევდნენ" მილიონებს.

# მიზეზი, რის გამოც „ნაცმოძრაობა" უნდა გაუქმდეს

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მინისტრს ანგარიში წარუდგინეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი მინისტრის წინაშე 2013 წლის მანძილზე შესრულებული საქმიანობის ანგარიშით წარდგა. დეპარტამენტის მიზანია შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 3 ძირითადი მიმართულებით: საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა, ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობა და დონორთა კოორდინაცია.

საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით სამინისტრომ 12 ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება გააფორმა შემდეგი 5 ძირითადი მიმართულებით: დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის/პოლიციის სფეროში თანამშრომლობა; საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის სფეროში თანამშრომლობა; საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობა; მართვის მოწმობების ურთიერთაღიარება; რეადმისია.

2013 წლის მარტსა და მაისში, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა შს მინისტრის ვიზიტი სტრასბურგსა და ბრიუსელში, სადაც ჩატარდა შეხვედრები ევროსაბჭოს, ევროკავშირისა და ნატო-ს მაღალი დონის წარმომადგენლებთან, მათ შორის, ევროკავშირის საშინაო საქმეებში უმაღლეს კომისართან, გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის უმაღლეს კომისართან, ბელგიის შს მინისტრთან, ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილესთან და გენერალური მდივნის თანაშემწეებთან. ასევე განხორციელდა შს მინისტრის ორმხრივი ვიზიტები და შეხვედრები მის კოლეგებთან: აზერბაიჯანში, სომხეთში, ისრაელში, აშშ-ში, ბელგიაში, ავსტრიაში, თურქეთში, საფრანგეთში, ბელორუსში, ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში, – აცხადებენ სამინისტროში. (ინტერპრესნიუსი)

## ნანუაშვილმა განაჩენების გადახედვაზე ისაუბრა




სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ვენეციის კომისიის წარმომადგენლებს შეხვდა.

„ვისაუბრე არსებული განაჩენების გადახედვის აუცილებლობის საკითხზე. ნაცვლად იმისა, რომ შეიქმნას მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია, უნდა დაიწყოს მუშაობა, რომ ამ მიმართულებით საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების გამოყენება უფრო ეფექტურად მოხდეს. ეს საკითხი კონსტიტუციურ პროექტშიც უნდა იყოს ასახული. აღნიშნულთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის წარმომადგენლებისგან დადებითი პოზიცია და მხარდაჭერა მოვისმინე", – განაცხადა ნანუაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

# რაღაც ვერ არის კარგად პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურში...

16 იანვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა თავისი წინამორბედის, ბიძინა ივანიშვილის მიერ დამკვიდრებული ტრადიცია გააგრძელა და სასტუმრო „შერატონში“ 2-საათიანი პრესკონფერენცია გამართა. ფორმატი იგივეა, ამ მხრივ ცვლილებები არ შეინიშნება, მაგრამ ერთი სიახლე ნამდვილად არსებობს – პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური აშკარად მიკერძოებულია, შეიძლება გაგიჟდე კაცი, გუშინ გახსნილ ინტერნეტ-სააგენტოებსა და ჯერაც ყურით არგაგონილ გამოცემებს უფრო მეტი დაფასება აქვთ, უფრო მეტი ყურადღება ექცევათ, ვიდრე ისეთ წონიან გაზეთებს, როგორებიცაა: „ალია“, „ქრონიკა“, „კვირის პალიტრა“ და „ასავალ-დასავალი“. ალბათ, გაგიჩნდებათ შეკითხვა – რაში მდგომარეობს ურეიტინგო და უდღეური სააგენტოების დაფასება? პრესკონფერენციაზე შეკითხვების დამსმელთა რიგითობას ადგენს პრემიერის პრესსამსახური, ჩემ მიერ ჩამოთვლილი გაზეთების წარმომადგენლები „მიჭირხვნილები“ ვართ სადღაც ბოლოში და იმ დროს გვიწევს გამოსვლა, როცა ყველა საათზე იყურება, პირველ რიგში კი, თავად პრემიერ-მინისტრი. მაშინ, როცა მთელ ბრიფინგს წითელ ზოლად გასდევს „ალიაში“ გამოქვეყნებული სკანდალური მასალა დავით კეზერაშვილთან დაკავშირებით და ათასნაირ უსუსურ კითხვებს სვამენ ჟურნალისტები, ბუნებრივია, „ალიას“ უნდა მიეცეს განმარტებების გაკეთების საშუალება, აღარაფერს ვამბობ შეკითხვის დასმის საშუალებაზე. ვიცი, პრემიერის პრესსამსახურის წარმომადგენლები თავს იმართლებენ, რა გინდათ, სიაში ხომ ჩაგწერეთ და მიკროფონთანაც ხომ მიგიშვითო? კი, ბატონო, ჩაგვწერეს და მიგვიშვეს კიდეც, მაგრამ როდის, პრესკონფერენციის ბოლოს, როცა 2 წუთია დარჩენილი?! მე პირადად ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი განგებ კეთდება, რათა სერიოზულმა გამოცემებმა არ დასვან სერიოზული შეკითხვები. არადა, ვერავინ წარმოიდგენს, რომ ირაკლი ღარიბაშვილს მწვავე შეკითხვების ეშინია და რამეს გაურბის, უბრალოდ, საქმე გვაქვს კერძო და უნიჭო ინიციატივასთან. ისე, ბიძინა ივანიშვილის პრესსამსახურთან ჩვენ არაერთხელ მოგვიწია „ჭიდაობა“, არაერთხელ გვქონდა პრობლემები და იმედი გვქონდა, ირაკლი ღარიბაშვილის დროს მაინც, ყველაფერი გამოსწორდებოდა, მაგრამ არა, უფრო გაუარესდა... რაღაც ვერ არის კარგად პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურში...



მეორე ფაქტი, რასაც თავად გადავაწყდი და მესიამოვნა, ის გახლავთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი არ დადის ისეთი ესკორტით, როგორითაც მიხეილ სააკაშვილი დადიოდა. როდესაც სასტუმრო „შერატონთან“ მანქანით მივედი, გასაჩერებელი ადგილი ვერ ვნახე და უკანვე გამოვბრუნდი, რათა სადმე მომეძებნა... აი, ამ დროს მოვიდა პრემიერი და უკან მოჰყვებოდა ესკორტის მხოლოდ ერთი მანქანა. ისე, მე თუ შევამჩნიე ეს ფაქტი, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ავთო ბერიძემ, ან სხვა ჩინოვნიკებმა ვერ შეამჩნიეს? ალბათ, შეამჩნიეს, მაგრამ სიხარბე ისეთი რამეა, თურმე ადამიანს ხშირად აბრმავებს და ისეთ რამეს აკეთებინებს, ადრე თვითონაც რომ ვერ წარმოიდგენდა. რაღა დაგიმალოთ და... სახელმწიფო დაცვის პოლიცია ცოტა აჭარბებს – სასტუმრო „შერატონის“ მიმდებარე ტერიტორია ისე გაწმინდეს, პრესკონფერენციაზე მისული მანქანას ვერსად გააჩერებ. წახვალ, სადღაც მიაგდებ და ყველგან „სი-თი პარკის“ წარმომადგენლები არიან ჩასაფრებულები. ბრიფინგის მიმდინარეობისას ეკლებზე ზიხარ, გგონია, გამოხვალ და მანქანა აღარ დაგხვდება. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილის დროს ასე არ ხდებოდა, დაცვის პოლიცია მანქანების გაჩერების უფლებას თავისუფლად გვაძლევდა.

გადავინაცვლოთ დარბაზში... იქ ყველაფერი ძველებურადაა, ირაკლი ღარიბაშვილიც ისეთივე გულახდილია, როგორიც იყო მისი წინამორბედი. ხშირად ეს გუ-

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*



„ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი აცხადებს, წინა ხელისუფლებასთან მემორანდუმი ნებაყოფლობით გავაფორმეთ, ყოველგვარი ზეწოლის გარეშეო. გამოდის, 2007 წლის ნოემბერში ტელე „იმედში“ სპეცრაზმის შევარდნა ზეწოლა არ ყოფილა და თურმე სპეცრაზმელები იქაურობას კი არ ლეწავდნენ, ბუმბულს არჩევდნენ“

## ნარკოტიკებზე ორი პირი დააკავეს

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა, ნარკოტიკული საშუალების შეძენისა და გასაღების ბრალდებით ორი პირი დააკავა.



დაკავებულები არიან 1972 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი ალექსანდრე კ. ნარკოტიკული საშუალების შენახვა-გასაღების ბრალდებით, ხოლო 1966 წელს დაბადებული ლევან ვ. ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით.

ლევან ვ-ს პირადი ჩხრეკისას 1 შეკვრა, ხოლო მისი კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას 6 შეკვრად დაფასოებული ე.წ. „ჰაშიში“ ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია ნარკოტიკული საშუალება კანაფის ფისი, საერთო წონით – 1,0206 გრ.

გამოძიების მიხედვით, ლევან ვ-მ ნარკოტიკული საშუალება ალექსანდრე კ-სგან 600 აშშ დოლარად შეიძინა. ალექსანდრე კ-ს პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ნარკოტიკის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა და ნარკოტიკული საშუალებები ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 0,0483 გრ კანაფის ფისი და 0,5 გრ გამომშრალი მარიხუანა. ნარკოლოგიური შემოწმებით ორივე ბრალდებულს მარიხუანის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ლაფანყურის საქმის გამოძიება მთავრდება




პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ლაფანყურის საქმის გამოძიება პრაქტიკულად ბოლომდეა მიყვანილი. მისი თქმით, საქმე მართლაც გაიწელა და რთული საქმეც იყო. პრემიერის განცხადებით, ხშირად არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო იძულებულია, გაითვალისწინოს ეროვნული ინტერესები და ერთი საქმით უფრო მთავარი – ქვეყნის ეროვნული ინტერესები არ დააზიანოს.

„მე მაქვს ინფორმაცია გამოძიებიდან, რომ ეს საქმე არის პრაქტიკულად ბოლომდე მიყვანილი და ჩემი ინფორმაციით, პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო გეგმავენ ერთობლივად ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელებას, გამოძიების შედეგების გამოქვეყნებას“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, მის სიმამრს, თამაზ თამაზაშვილს პირადად მასზე და ზოგადად, პოლიტიკურ პროცესებზე არანაირი გავლენა არ აქვს.

„ეს იმდენად სასაცილოა, რომ მე არ ვიცი, საიდან მოგაქვთ. თუ გაქვთ რაიმე ფაქტი, რომ ჩემი ოჯახის წევრი სადმე ჩაერია, ან მისი კადრები ინიშნება? ეს არის ჩვეულებრივი სპეკულაციები. გიდასტურებთ, რომ არავითარ ჩარევას არ აქვს ადგილი ჩემი არც ერთი ოჯახის წევრის მხრიდან“. – დასძინა ღარიბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## მერაბიშვილმა ოგბაიძის გამო პროცესი დატოვა




ვანო მერაბიშვილმა სასამართლო პროცესი პროტესტის ნიშნად დატოვა. ამის მიზეზი დაცვის მხარის შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობა გახდა, რომელიც მერაბიშვილის ადვოკატებმა ბრალდების მხარის მოწმის, შალვა ოგბაიძის დაკითხვისას დააყენა.

კერძოდ, ოგბაიძემ სასამართლოს წარუდგინა ფოტომასალა, სადაც, მისი თქმით, ასახულია, როგორ უსწორდებიან მას და მის ვაჟებს აქციაზე სპეცრაზმელები.

მერაბიშვილის ადვოკატებმა მოწმისთვის ვიდეოფირის ჩვენების შუამდგომლობა დააყენეს, მოსამართლემ კი მათ განუმარტა, რომ ამის საშუალება გამოკვლევის ეტაპზე ექნებათ.

მერაბიშვილმა განაცხადა, რომ მოწმეს ჰქონდა ფოტომასალის წარდგენის საშუალება, დაცვის მხარეს კი არ მიეცა ვიდეოს ჩვენების საშუალება, რაც უსამართლობაა.

„ამ პროცესზე ყოფნას აზრი არ აქვს“. – განაცხადა მერაბიშვილმა და დარბაზი დატოვა. (ინტერპრესნიუსი)

## „ნაცმოძრაობას“ პასუხობენ



თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტზე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი ტყემალაძე და ჯაბა სამუშია „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს პასუხობენ.

გიორგი ტყემალაძის განცხადებით, საკრებულოს უმცირესობის წარმომადგენელთა მტკიცება, თითქოსდა, ბიუჯეტის არმიღება უარყოფითად იმოქმედებს როგორც ტრანსპორტის, ასევე ქალაქის დასუფთავებისა თუ სხვა პრობლემების მოგვარების კუთხით, სრული აბსურდია და სიმართლეს არ შეესაბამება.

„ჩვენ აბსოლუტურად თავისუფალნი ვართ პოლიტიკისგან და არც ერთ გადაწყვეტილებას რაიმე კონკრეტულ ფაქტორებს არ ვუკავშირებთ. ვფიქრობ, რომ ჩვენი მოთხოვნა, რომელიც ბიუჯეტის მაქსიმალურ გამჭვირვალეობას გულისხმობს, აბსოლუტურად ლოგიკურია“, – მიიჩნევს ტყემალაძე. ჯაბა სამუშიას განცხადებით კი, სევდია უგრეხელიძემ დაადასტურა, რომ მიუხედავად ბიუჯეტის ჩავარდნისა, არც ერთ სოციალურ პროგრამას შეჩერების საშიშროება არ ემუქრება და ის 60 მილიონი ლარი, რომლის გახარჯვაც 1/12-ის ფარგლებში მოხდება, აბსოლუტურად საკმარისია ამა თუ იმ პროგრამის დაფინანსებისთვის.

(ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ის, რაც ვერ ნახეთ ტელევიზიით

*მესამე გვერდიდან*

ლახდილობა არ ჭრის, რადგან ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ და არ არის გამორიცხული, ვისაც დაიცავ, ის მტრად გექცეს. ღარიბაშვილმა პრესკონფერენციაზე ისაუბრა იმაზეც, როგორ წაართვეს პატარკაციშვილების ოჯახს ტელეკომპანია „იმედი“, ანუ როგორ გააფორმებინეს მემორანდუმი. პრემიერის თქმით, ყველა დაისჯება, ვინც ამ დანაშაულში იყო გარეული. გადის პრესკონფერენციის დამთავრებიდან სადღაც ნახევარი საათი და ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი აცხადებს, წინა ხელისუფლებასთან მემორანდუმი ნებაყოფლობით გავაფორმეთ, ყოველგვარი ზეწოლის გარეშეო. გამოდის, 2007 წლის ნოემბერში ტელე „იმედში“ სპეცრაზმის შევარდნა ზეწოლა არ ყოფილა და თურმე სპეცრაზმელები იქაურობას კი არ ლეწავდნენ, ბუმბულს არჩევდნენ.

პატარკაციშვილების ადვოკატი, ლაშა არველაძე აცხადებს: რას ამბობთ, ზეწოლა ვისგან უნდა ყოფილიყო, ჩვენ ხომ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთო? მართლაც, ვისგან უნდა ყოფილიყო ზეწოლა, სააკაშვილი და უგულავა ხომ ასეთ რამეს არ იკადრებდნენ?! აი, აქ უკვე უხერხულ მდგომარეობაში ვარდება პრემიერ-მინისტრი, ის დაჩაგრულებისკენაა, დაჩაგრულები კიდევ ეშმაკებისკენ არიან.



ერთი ჟურნალისტი მეუბნება, ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციებზე უკეთესად ვერთობოდი, იმან კარგი ჩაყოლა და მიჭირხვნა იცოდაო. მე ვამშვიდებ, ეს ირაკლი ღარიბაშვილის პირველი პრესკონფერენციაა, ცოტა ხანში მიჭირხვნას ესეც ისწავლის-მეთქი. რა ვიცი, რა ვიციო...

სხვათა შორის, ირაკლის ამ თემაზეც ჰკითხეს, თქვენი წინამორბედის შემდეგ მედიასთან და ექსპერტებთან როგორი დამოკიდებულება გაქვთო? მან უპასუხა, თუ კრიტიკა სამართლიანია, ჟურნალისტებმა უნდა მიიღოთო. ეს იყო დელიკატური პასუხი, ბიძინა ივანიშვილი რომ ყოფილიყო, ეტყოდა: ეგრე არ არი, თაყაო, შენ რომ მამული გაჰყავო! მოკლედ, ირაკლი ღარიბაშვილის პირველმა პრესკონფერენციამ მაინც ნორმალურად ჩაიარა... იმედი ვიქონიოთ, რომ ცოტაოდენი პრობლემები გამოსწორდება და მომავალი შეხვედრები უკეთესი იქნება.

ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე ისაუბრა თვითმმართველობის კოდექსზე. და ის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლის, მაიკლ იანსენის განცხადებასაც გამოეხმაურა, რომლის აზრითაც, არჩევნებამდე ნახევარ წელზე ნაკლები რჩება და თამაშის წესები მაინც გაურკვეველია. ღარიბაშვილის თქმით, მთავრობა არსებული ფორმით ვერ დატოვებდა თვითმმართველობის კოდექსს:

„ყველა რაიონში ავირჩევთ საკრებულოების წევრებსა და გამგებლებს. თვითმმართველ ქალაქებში კი ავირჩევთ მერს. ასეთი ქალაქი იქნება 12, აქამდე იყო მხოლოდ ერთი – თბილისი და ისიც 30%-იანი ბარიერით. ჩვენ საუბარი გვაქვს ბარიერის გაზრდაზე. გვინდა, რომ მერები ავირჩიოთ 40%-იანი ბარიერით, ამაზე კონსულტაციები მიმდინარეობს. ამ მიმართულებით მე პრობლემას ვერ ვხედავ. ევროსაბჭოს დელეგაციასაც და ნებისმიერ დაინტერესებულ პირსაც შეგვიძლია, ეს ყველაფერი დავუსაბუთოთ“.



არადა, არასაპარლამენტო პარტიებს იმედი აქვთ, რომ ახალი კოდექსის მიხედვით, ყველა სახის ბარიერი შემცირდება. არა მგონია, პრემიერ-მინისტრის ეს განცხადება მათ გაუხარდეთ. ყოველ შემთხვევაში, ინტერფრაქციულ ჯგუფში ამაზე დიდი კამათი იქნება.

ჟურნალისტებმა დასვეს შეკითხვები ეკონომიკური ზრდის ტემპის შეჩერებასთან დაკავშირებით. პრემიერის თქმით, მთავარი მიზეზი წინა ხელისუფლება, უშუალოდ პრეზიდენტი სააკაშვილი და კოჰაბიტაციის რეჟიმი იყო, რის გამოც ინვესტორებმა შეწყვიტეს ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების ჩადება. მიუხედავად ამისა, შარშან ჩვენ გვქონდა 3%-იანი ზრდა... არათუ კლება, არამედ ზრდა.

ერევიან თუ არა ირაკლი ღარიბაშვილის ოჯახის წევრები კადრების დანიშვნაში? აქ უპირველესად გულისხმობენ მის სიმამრს, თამაზ თამაზაშვილს. პრემიერ-მინისტრმა პირდაპირ თქვა, რომ ეს არის დიდი სისულელე, თუ მისი ოჯახის წევრები ასეთ რაღაცებში ერევიან, მაშინ უნდა დაიდოს ფაქტები. ამ თემაზე მართლაც ბევრს ლაპარაკობენ და ხშირად ჭორების გავრცელებას „ნაციონალებიც“ უწყობენ ხელს, ეს სფერო პარტიაში ირმა ნადირაშვილს აბარია ოფიციალურად. დიახ, „ნაცებს“ შიგნით „ნეპოტიზმის დეპარტამენტიც“ კი აქვთ შექმნილი და უამრავ ვერსიას ამუშავებენ იმის თაობაზე, როგორ დაუნათესავონ ღარიბაშვილს ესა თუ ის ადამიანი.

დაბოლოს... ირაკლი ღარიბაშვილი უკვე ისეთ მოვლენებს აანონსებს, შეიძლება „ნაციონალებს“ ცოტა ხანში დედა აღარ ჰყავდეთ საერთოდ. კაცი პირდაპირ აცხადებს, მე „ნაციონალებთან“ ლაპარაკს საერთოდ აღარ ვაპირებ და არც მათი აზრი მაინტერესებს, ოპონენტებად არ მივიჩნევო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კეზერაშვილთან დაკავშირებულ სკანდალს ბევრი მიჰყვება უკან. თუკი კეზერაშვილი „ნაცმოძრაობას“ „შავი ფულით“ აფინანსებდა, მაშინ ეს პარტია საერთოდ უნდა აიკრძალოს, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ბოლო 9 წლის განმავლობაში რამდენიმე ასეული ადამიანი უგზო-უკვლოდ არის დაკარგული. ახლო მომავალში რამდენიმე საქმეს აეხდება ფარდა“.

აი, ეს არის ჟურნალი, კინო იქნება შემდეგ და... ჩემი მეგობარი ჟურნალისტებიც კარგად „გაერთობიან“ ღარიბაშვილის პრესკონფერენციებზე...

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მამა გაბრიელზე ფილმს გადაიღებენ



მამა გაბრიელზე რეჟისორი გია კაჭარავა ფილმის გადაღებას აპირებს. გადაღებები გაზაფხულზე უნდა დაიწყოს. ცოტა ხანში წმინდანის როლზე მსახიობების შესარჩევად ქასთინგი გამოცხადდება.

ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის წევრის, სოფო ხაჭაპურიძის განცხადებით, ამ წმინდანის ცხოვრება, ბავშვობის პერიოდიდან დაწყებული, სიბერით დასრულებული, ისეთი საინტერესოა, რომ სცენარი ერთ ფილმში არ ჩაეტია და ამიტომ იქნება ორი სერია.

„სცენარი გაკეთდა უშუალოდ დედა პარასკევას მოგონებების მიხედვით, რომელიც წიგნად არის გამოცემული, რაზეც გვაქვს მისი ნებართვაც. ჯერ პატრიარქთან ეს საკითხი არ მიგვიტანია, რადგანაც მაინც საწყის ეტაპზე ვართ“, – ამბობს ხაჭაპურიძე.

ფილმის პროდიუსერი და ერთ-ერთი როლის შემსრულებელი დათო ქაცარავა აცხადებს, რომ მისი გმირი მამა გაბრიელის ანტიპოდია. „უსაშინლესი ადამიანია, ასეთი როლი ჯერ არ შემხვედრია და მითამაშია. კაცი, ვინც უნდა გავასახიერო, ამირან ქრისტესიაშვილი გახლავთ“, – აცხადებს ქაცავარა.

რაც შეეხება ფილმის დაფინანსებას, ქაცარავას განმარტებით, განცხადება-პროექტი კულტურის სამინისტროში უკვე შეტანილია და პასუხს ელოდებიან. (ინტერპრესნიუსი)

## 6 წლის გოგონას ეძებენ




ვანის რაიონის სოფელ შუამთაში 6 წლის გოგონა დაიკარგა. დეპუტატ დავით ლორთქიფანიძის ცნობით, შემთხვევა 15 იანვარს საღამოს მოხდა, როდესაც მამამ ორი მცირეწლოვანი შვილი სიგარეტის საყიდლად მაღაზიაში გააგზავნა.

„აფხაზეთიდან დევნილი ოჯახია, 3 მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავთ, მეოთხეზე ფეხმძიმედ არის დედა. მამამ სოფლის ცენტრში სიგარეტის საყიდლად გაუშვა 7 წლის ვაჟი და 6 წლის გოგონა. გოგონა უკან აღარ დაბრუნდა. ბიჭი გარკვევით ვერ ამბობს, რა მოხდა. ხან ამბობს, რომ გოგონა მდინარე ყუმურის პირზე თამაშისას მდინარეში ჩავარდა, ხან ამბობს, რომ ვითომ ვიღაცას ჩაუჯდა მანქანაში და გაჰყვა“, – აღნიშნა ლორთქიფანიძემ.

მისივე თქმით, სამძებრო სამუშაოები შუამთაში უკვე მეორე დღეა მიმდინარეობს. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# ირაკლი ღარიბაშვილი: „ეს მართლა სკანდალია!“



თავდაცვის ექსმინისტრის დავით კეზერაშვილის საქმე „ნაცმოძრაობას“ პოლიტიკურ სამარეს უმზადებს. კეზერაშვილზე მოპოვებული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ „კეზერა“ და მისი „ნაციონალი მეგობრები“ პოლიტიკას ამოფარებული ყაჩაღები არიან, რომლებმაც ხელისუფლებაში ყოფნისას ბინძური ბიზნესით მილიარდები იშოვეს, რაც დოკუმენტურად საბუთდება და მათ ფეხქვეშ ბომბები სკდება. ამის დასტურია, მსოფლიოში ცნობილი აუდიტორული კომპანიის „დელოტის“ მიერ მოძიებული მასალა. დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ კეზერაშვილის ანგარიშებზე კაპიტალის ბრუნვამ 1 მილიარდი დოლარი შეადგინა. ომწაგებული მინისტრის ანგარიშები 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ იზრდება, ეს მაშინ, როდესაც მას ოფიციალურად ბიზნესი არ ჰქონია, კანონის მიხედვით კი საჯარო მოხელეს ბიზნესის კეთების უფლება არ აქვს. ჩნდება ლოგიკური კითხვა – როგორ შეძლო კეზერაშვილმა მილიარდის შოვნა?! იარაღით უკანონო ვაჭრობის გარდა, ასევე, სახელდება ნარკოტრაფიკი, საიდანაც ნაციონალების „შავ სალაროში“ უამრავი ფული მიედინებოდა.

„ალიას“ მიერ გამოქვეყნებულ სკანდალურ დოკუმენტზე, პროკურატურამ მოკვლევა უკვე დაიწყო, თუმცა „ნაცმოძრაობა“ ამ თემის კომენტარს გაურბის და დუმილის რეჟიმშია, მათთვის მეორე წერილი უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, სადაც „ნაციონალური მოძრაობა“ საფრანგეთის ხელისუფლებას კეზერაშვილის გირაოთი განთავისუფლების თხოვნით მიმართავს. შეიძლება ითქვას, რომ ეს არანაკლებ სკანდალური წერილია და აი, რატომ? მიხეილ სააკაშვილის ხელმოწერილი წერილი, რომელიც დათარიღებულია 2013 წლის 21 ნოემბრით, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, ამ წერილით ხელს აფარებს დამნაშავეს, საფრანგეთის სასამართლოს სთხოვს, რომ გაათავისუფლონ ის და არ დასთანხმდეს საქართველოს ახალ ხელისუფლებას მის ექსტრადიციაზე. მეორე მხრივ, აღიარებულია, რომ პარტიის დამფინანსებელი და „ნაცმოძრაობის“ შავი სალაროს შეფი დავით კეზერაშვილია. იქნებ სააკაშვილმა აგვიხსნას, როგორ მოახერხა კეზერაშვილმა მილიარდის შოვნა, სულ რაღაც, 4 წელში? აუხსნას ევროპას, როგორ დაამარცხა ქვედა ფენებში კორუფცია „კეზერას“ დახმარებით და როგორ გახადა კორუფცია ელიტარული? ან იქნებ ის გვითხრას, ამ წერილს რომ წერდა, რით ხელმძღვანელობდა – სახელმწიფოებრივი აზროვნებით თუ მაფიოზური სქემით?

გთავაზობთ მიხეილ სააკაშვილის ტყუილებზე აგებული წერილის სრულ ვერსიას:

„პოლიტიკური გუნდი, რომელმაც ათწლეულების მანძილზე რადიკალური და ამბიციური რეფორმები განახორციელა და საქართველო ევროკავშირს კიდევ უფრო დაუახლოვა, ახლა დევნის, დაშინებისა და ძალადობის მსხვერპლად იქცა. ეს „კუდიანებზე ნადირობა“ მიმდინარეობს მას მერე, რაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ოლიგარქმა ბიძინა ივანიშვილმა გაიმარჯვა. დაახლოებით 100-მდე ყოფილი ჩინოვნიკს წაუყენეს ბრალდებები, ოპოზიციის რამდენიმე ათასი აქტივისტი დაკითხეს და „ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთი საკვანძო ფიგურა დააპატუსაღეს, მათ შორის პარტიის გენერალური მდივანი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი. როგორც პოლიტიკური გუნდის საკვანძო ფიგურა და ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი, დავით კეზერაშვილი იგივე საშიშროების წინაშეა და იგივე ბედი ელის, როგორიც პარტიის სხვა ლიდერებს. დავით კეზერაშვილის ფიგურას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ მისი დაფუძნების დღიდან. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „ვარდების რევოლუციის“ დროსაც, სწორედ ამ რევოლუციამ ქვეყნის სათავეში მოიყვანა ახალგაზრდების რეფორმისტული პროევროპული გუნდი, რომლის გაძღოლის პატივიც მე მერგო წილად.

ერთ-ერთი ჩვენი მთავარი ამბიცია, დაპირება და ალბათ, ყველაზე სასწრაფოდ გადასაწყვეტი ამოცანა იყო ის, რომ წერტილი დაგვესვა კორუფციისთვის, რაც პირდაპირი მნიშვნელობით ანადგურებდა ქართულ სახელმწიფოსა და საზოგადოებას. დავით კეზერაშვილის ფინანსური პოლიციის უფროსად დასახელება მასში ჩვენი ნდობის მანიშნებელი იყო ისევე, როგორც პარტიისთვის და ახალი სამთავრობო გუნდისთვის მისი მნიშვნელობის ინდიკატორი. მისი როლი იყო უმნიშვნელოვანესი კორუფციისა და მექრთამეობის სისტემის განადგურებაში, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და პროგრესს აფერხებდა. ეს წარმატება დაფიქსირდა ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომლებიც ხოტბას ასხამდნენ და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მაგალითად ასახელებდნენ ამ მიღწევას, მაგალითად, ისეთი ორგანიზაციის, როგორიცაა მსოფლიო ბანკი. ამ ყველაფერმა საქართველოს საშუალება მისცა, განვითარებულიყო, მაგრამ ამან ბევრი მტერი გაუჩნა ქვეყანას და განსაკუთრებით დავით კეზერაშვილს. ახლა, როდესაც ის ხალხი დაუბრუნდა სახელმწიფო სტრუქტურებს, რომელიც ამ კორუფციის სისტემას ხელმძღვანელობდა, მათ შურისძიება სწადიათ და დავითი მათი ერთ-ერთი უპირველესი სამიზნეა.

მისმა წარმატებამ ფინანსურ პოლიციაში და მზარდმა გავლენამ მიმაღებინა გადაწყვეტილება, კეზერაშვილი თავდაცვის მინისტრად დამენიშნა, მაშინ როდესაც დაძაბულობა რუსეთსა და საქართველოს შორის მატულობდა, როდესაც რუსი სამხედროების ყოველდღიური პროვოკაციები და დაბომბვები გვარწმუნებდა ომის შესაძლო დაწყებაში. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო უდიდესი ნდობის ნიშანი მთელი მთავრობის და პირადად ჩემი მხრიდან. დავითი თავდაცვის მინისტრი იყო მაშინ, როდესაც 2008 წლის აგრესია დაიწყო და იქცა ერთ-ერთ ყველაზე საძულველ პიროვნებად რუსეთის ფედერაციის ძლევამოსილი უსაფრთხოების აპარატისთვის. 2008 წლის შემდეგ, რაც კერძო სექტორში გადასვლა და მთავრობიდან წასვლა გადაწყვიტა, ის ბიზნესმენი გახდა, მას დაევალა გამოეყენებინა მისი ნიჭი და კონტაქტები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ ფინანსების მოზიდვაში. მთელი ამ წლების მანძილზე ის ფინანსების მოძიების კუთხით ცენტრალური ფიგურა იყო და პარტიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიკოსად რჩებოდა. კეზერაშვილი რამდენიმე წლის მანძილზე მონაწილეობდა პარტიის ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილებაში.



2012 წელს არჩევნებში დამარცხების შემდგომ დაიწყო დევნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ახალი ოპოზიციური ძალის და მისი დონორების წინააღმდეგ და მისი როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. მაშინაც კი როდესაც ახალმა მთავრობამ საქართველოში დარჩენა შეუძლებელი გახადა,

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მთავარ პროკურორს მალე დაასახელებენ



პრემიერის განცხადებით, დროში შეზღუდულები არ არიან, მიმდინარეობს და უახლოეს დღეებში დაასახელებს მთავარი პროკურორის კანდიდატურას. ის დავით ჩხატარაშვილის საკითხსაც შეეხო:

„ჩხატარაშვილი იყო ძალიან გავლენიანი პიროვნება ყოფილი ხელისუფლების დროს. ის არ ყოფილა პოპულარული პირადად ჩემთვის და არც ბატონი ბიძინასთვის. მე არ ვიცი, რატომ იყო ის პოპულარული პროკურატურაში და ამას ჩვენ გავარკვევთ. ჩვენთვის გახდა ცნობილი, რომ ის ამჟამად არის ბრალდებული და კონკრეტული გამოძიება მიმდინარეობს. დანარჩენი გაირკვევა, არაფერი არ იმალება და არაფერი დარჩება პასუხგაუცემელი“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

რაც შეეხება ზურაბ ჟვანიას საქმეს, ღარიბაშვილმა განაცხადა:

„საუბარია ექსჰუმაციაზე, რათა არ გაჩნდეს რაიმე შეკითხვები. პროკურატურა გეგმავს, რომ მოხდეს შვეიცარიის ლაბორატორიის ჩართვა, ვაპირებთ, შეიქმნას გარკვეული კომისია. ასევე, მიმდინარეობს კონსულტაციები თომას ჰამერბერგთან, რათა ისიც ჩაერთოს, რომ მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარიმართოს ეს პროცესი. ჩვენ ვართ მოტივირებული, რომ ამ საქმის ირგვლივ გამოიძება იქნას წარმართული და არც ერთი კითხვა აღარ დარჩეს“, – აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი. მისივე თქმით, ექსჰუმაციასთან დაკავშირებით ასევე საუბარია ისრაელის ერთ-ერთ ლაბორატორიასთანაც.

პრემიერი უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების თემასაც შეეხო:

„სამწუხაროდ, რამდენიმე ასეული ადამიანის უგზო-უკვლოდ დაკარგვის ფაქტს ჰქონდა ადგილი ბოლო 9 წლის განმავლობაში. ბუნებრივია, რთულია ამ ადამიანების მიკვლევა და დადგენა, თუ როგორ მოხდა მათი გაუჩინარება. ჩვენ ვაწარმოებთ გამოძიებას, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. დაახლოებით ერთ თვეში რამდენიმე გახმაურებული ფაქტის მომსწრენი გავხდებით. ჩვენ გამოვიკვლიეთ რამდენიმე ადამიანის უგზო-უკვლოდ დაკარგვის ფაქტი – შევისწავლეთ და გამოძიებამ დაადგინა, რა პირობებში მოხდა მათი დაკარგვა“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ლარის გასამყარებლად 40 მლნ დოლარი გაყიდა



ეროვნულმა ბანკმა ლარის გამყარების მიზნით, სავალუტო აუქციონზე დღეს 40 000 000 აშშ დოლარი გაყიდა.

საშუალო შეწონილმა გაცვლითმა კურსმა 1.7676 შეადგინა. ბოლო კვირის განმავლობაში ლარმა დოლართან მიმართებაში გაუფასურება შეწყვიტა და 1.74 ნიშნულზე გაჩერდა, თუმცა კურსი ვარდნას ისევ განაგრძობს. (ინტერპრესნიუსი)

## სირცხვილია, როდესაც იმპორტი 80%-ია



ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობასა და ბიზნესს შორის ურთიერთობებზე საუბრისას განაცხადა:

„წლების განმავლობაში იყო კომუნიკაციების ნაკლებობა. უახლოეს დღეებში ჩამოვყალიბდებით ფორმატზე როგორ უნდა მოხდეს და გამართიგდეს კომუნიკაცია მთავრობასა და ბიზნესს შორის. იგეგმება სამუშაო ჯგუფების შექმნა, მასში შევლენ მთავრობისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები. ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილები წარვუდგინე ბიზნესის წარმომადგენლებს. წელს ჩვენ ვიწყებთ ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობას და შეგვიძლია, ეს წელი გამოვაცხადოთ ადგილობრივი წარმოების წლად და ყველანი უნდა ვიყოთ ჩართულები ამ საქმეში... რაც შეეხება ადგილობრივი წარმოების განვითარებას და ჩემს ხედვებს, ჩვენ დავიწყეთ დამუშავება სამომხმარებლო კალათის. ქვეყანა, რომლის 80% დამოკიდებულია იმპორტზე... ეს არის კატასტროფა. ჩვენ ვისაუბრეთ, როგორ უნდა მოხდეს იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოებით. ვისაუბრეთ იმაზე, რომ ეს არ უნდა მოხდეს ხელოვნური ბარიერების შექმნით. ჩვენ იმპორტს არ უნდა შევეწინააღმდეგოთ და არ უნდა შევუქმნათ ბარიერები, მაგრამ ხელი უნდა შევუწყოთ ადგილობრივი წარმოების განვითარებას. სხვა შემთხვევაში, წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და აღმასვლა. უნდა შეიქმნას ჯანსაღი კონკრეტული გარემო, რაც ერთი მხრივ, უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, რათა კონკურენცია გაუწიოს იმპორტირებულ საქონელს და მეორე მხრივ, იმპორტირებული საქონელიც იქნება მაღალხარისხიანი“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ეს მართლა სკანდალია!“

მეხუთე გვერდიდან

მისი მნიშვნელობა პარტიისთვის კიდევ უფრო გაიზარდა. ის იყო ერთადერთი, რომელიც იცნობდა ნებისმიერი კამპანიის პოტენციურ დამფინანსებლებს და იყო ერთადერთი, რომელსაც დონორები ენდობოდნენ.

პრეზიდენტის რანგში რამდენჯერმე გავემგზავრე მასთან შესახვედრად და ჩვენი სტრატეგიის განსახილველად. ამჟამად პატიმრობაში მყოფი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ივანე მერაბიშვილიც რამდენჯერმე იმყოფებოდა მასთან შესახვედრად.

სასამართლოს ვთხოვ, აღიაროს, რომ დავით კეზერაშვილის ექსტრადირება პოლიტიკურად მოტივირებული მოთხოვნაა, რომელიც ყალბ ბრალდებებს ეფუძნება და შესაბამისად გთხოვთ, უარი თქვათ ექსტრადიციის მოთხოვნაზე“.

აი, ბარონ მიუნჰაუზენს შეშურდებოდა, მიშა, შენი ტყუილების. ხომ ვამბობდი ტყუილებში მსოფლიო ჩემპიონატი რომ ჩატარდეს, ბოროტი მატყუარას ტიტულს არავის დაუთმობდი.

16 იანვარს ირაკლი ღარიბაშვილის პირველი პრესკონფერენცია გაიმართა პრემიერ-მინისტრის რანგში. „ალიას“ მიერ მოპოვებულ, აუდიტურები არიან დაინტერესებულნი. დაველოდოთ გამოძიებას და ძალიან მალე გახდება ცნობილი. ქართული საგამოძიებო უწყებები ყველაფერს გააკეთებენ ამ ინფორმაციის გამოსაძიებლად. კეზერაშვილი ჩემთვის აღმოჩენა იყო. ეს იყო ტოლფასი იმ წამებების გამოვლენის, რაც ჩვენ ყველამ ერთად ვიხილეთ რამდენიმე თვის წინ. წლების განმავლობაში საზოგადოებაში მუსირებდა აზრი და ხალხი ყვიროდა, უბრალოდ, ვერავინ ვერ მიაწვდინა ხმა მსოფლიო საზოგადოებას, რა ხდებოდა ციხეებში. სწორედ ახლა მოხდა იმის დადასტურება,



გატარებული დღე პატიმრობაში „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ სირთულეებს უქმნის, იყოს ლეგიტიმური და დემოკრატიული ოპოზიციური ძალა საქართველოში“.

სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ კიდევ ერთხელ ამყარებს ეჭვს, რომ კეზერაშვილის სხვა ანგარიშებზე, რომელიც ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია, მილიარდებია დალექილი, მისი პატიმრობაში ყოფნა კი ნიშნავს ფულის გაყინვას და „ნაცმოძრაობის“, მასზე მიბმული მედიასაშუალებებისა და არასამთავრობოების კვდომას.

მისი უმოქმედობის პირობებში საპრეზიდენტო არჩევნებმა, რომელიც 2013 წლის ბოლოს ჩატარდა, შეფერხებით წარიმართა ოპოზიციისთვის და 2014 წელს დაგეგმილი ადგილობრივი არჩევნები კიდევ უფრო რთული იქნება.

საუბედუროდ, ამის შესახებ იცის ქვეყნის მთავრობამ და სწორედ, ამიტომ დავითი და ვანო მერაბიშვილი ყველაზე მნიშვნელოვან სამიზნეებად იქცნენ მიმდინარე კამპანიის, დევნის დაშნებისა და ძალადობის ფონზე, რომელიც ოპოზიციის წინააღმდეგ მიმდინარეობს. არ შემიძლია გადავაჭარბო ქვეყნისთვის და პარტიისთვის მისი როლის მნიშვნელობას, მის განთავისუფლებასა და უსაფრთხოდ ყოფნას.

დავითის წინააღმდეგ მიმდინარეობს და მომავალშიც ადგილი ექნება დევნას ისევე, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევას, რადგან ის ფუნდამენტური მნიშვნელობის მატარებელია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“. საფრანგეთის ტორული კომპანიის „დელოიტის“ სკანდალურ დოკუმენტზე და დასაბუთებულ ეჭვზე, რომ კეზერაშვილი იარაღით უკანონო ვაჭრობაშია ექვმიტანილი, პრემიერმა განაცხადა, რომ კეზერაშვილთან დაკავშირებით ძალიან სკანდალური ინფორმაციები იკვეთება. „რაც შეეხება იარაღით უკანონო ვაჭრობას, ამაზე არა მხოლოდ ჩვენი, არამედ უცხო ქვეყნის სამართალდამცავი სტრუქ-



რაზეც ოპოზიციის წარმომადგენლები წლების განმავლობაში საუბრობდნენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მაღალჩინოსნებმა ხელში ჩაიგდეს სახელმწიფო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი, სტრატეგიული ობიექტები და სერიოზული აქტივები. ვერავინ ამიხსნის, საიდან აქვს 800-მილიონიანი ბრუნვა კეზერაშვილს მხოლოდ 2012 წელს, საიდან აქვს მის კომპანიას მილიარდნახევრიანი ბრუნვა, მას შემდეგ, რაც ის გადავიდა კერძო სექტორში. ეს არის შოკისმომგვრელი, სკანდალური ინფორმაცია და ამის შეფასება საზოგადოებამ ადეკვატურად უნდა მოახდინოს. მოკლე დროში ყველაფერს ნათელი მოეფინება“.

კეზერაშვილის სკანდალური საქმის გაგრძელება იყო „ალიას“ 16 იანვრის სტატია, სათაურით, „სააკაშვილის საიდუმლო წერილი. როგორ ცდილობს ექსპრეზიდენტი კეზერაშვილის ციხიდან დახსნას“, სადაც საუბარია, სააკაშვილის ზემომოყვანილ ხელმოწერილ წერილზე და ცალკე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით გაგზავნილ პეტიციაზე, რომელსაც ხელს აწერს „ნაცმოძრაობის“ 27 წევრი და საფრანგეთის მხარეს თხოვნით მიმართავს, გაათავისუფლონ გირაოს სანაცვლოდ მათი მთავარი დამფინანსებელი, თორემ პარტია მოკვდება.

„ნაცმოძრაობის“ კოლექტიური წერილის შინაარსი ასეთია:

„დავით კეზერაშვილის ამჟამინდელი პატიმრობა ნიშნავს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური აქტივობების დაფინანსების მნიშვნელოვან შემცირებას და არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობის წართმევას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ იმედი გვაქვს ფრანგი სამართალდამცველების, რომ ექსტრადიციაზე უარს განაცხადებენ, როგორც პოლიტიკურად მოტივირებულ მოთხოვნაზე, ჩვენ შეშფოთებულები ვართ დავით კეზერაშვილის პატიმრობაში დარჩენით და შესაბამისად, ურყევად ვაცხადებთ, რომ ის უნდა განთავისუფლდეს საფრანგეთში არსებული რეგულაციების თანახმად გირაოს საფუძველზე, იმისთვის რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მიეცეს პოლიტიკური აქტივობის საშუალება. დავით კეზერაშვილის მიერ ყოველი

მოითხოვს თუ არა საქართველოს ხელისუფლება კეზერაშვილის ექსტრადირებას და მიწოდა თუ არა ქართულმა მხარემ საფრანგეთს კეზერაშვილზე დამატებითი დოკუმენტები, „ალიას“ კითხვაზე პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, „ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ საფრანგეთთან. კეზერაშვილით სხვა ქვეყნებიც არიან დაინტერესებულნი. ძალიან მალე ქვეყანაც და მსოფლიოც გაიგებს, რასთან გვქონდა საქმე. წლების განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო აქტივების ხელში ჩაგდებას ჰქონდა ადგილი და ეს დადასტურდა სააკაშვილის წერილითაც, სადაც ის პირდაპირ ადასტურებს თურმე, რომ კეზერაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელი იყო. კეზერაშვილის საქმე ძალიან აქტუალურია და ეს მართლა სკანდალია. ეს არის მტკიცებულება იმისა, რაზეც ჩვენ წლების განმავლობაში ვსაუბრობდით, რომ ეს ადამიანები ძალიან დიდ ქონებას აგროვებდნენ!“

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრემიერი ჯანი ბუკიკიოს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი ვენეციის კომისიის პრეზიდენტ ჯანი ბუკიკიოს შეხვდა. პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-სამართლებრივ პროცესებსა და მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრეს. საუბარი საკანონმდებლო ცვლილებებსაც შეეხო. (ინტერპრესნიუსი)

## ორი მასწავლებელი სამსახურში აღადგინეს




საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი უკანონოდ განთავისუფლებულ ორ მასწავლებელს სამსახურში აღდგენაში დაეხმარა.

პროფკავშირის ცნობით, 2013 წლის 30 დეკემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ქ. ქუთაისის 45-ე საჯარო სკოლის დირექტორის მიერ უკანონოდ განთავისუფლებული ორი მასწავლებელი სამსახურში აღადგინეს. ამასთანავე, სკოლას მასწავლებლებისთვის 15 238 ლარის ოდენობით სავალდებულო განაცდურის ანაზღაურება დაეკისრა. (ინტერპრესნიუსი)

## მოვაჭრეების აქციაზე ერთი ადამიანი დააკავეს



16 იანვარს გორის ბაზრის მოვაჭრეების ნაწილმა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის გადაკეტვა სცადა, რის შემდეგაც სამართალდამცავებმა ერთი პირი დააკავეს. დაკავებულია აქციის ერთ-ერთი მონაწილე უშანგი ბაშარული. აქციის მონაწილეებმა ბაზრის სხვა ადგილზე შესაძლო გადატანა გააპროტესტეს. (ინტერპრესნიუსი)

# რა ქონება შეიძინა სიმბოლურ 1 ლარად მიხიაშვილმა?

**„ალიას“ ესაუბრება იურისტი ირაკლი ღლონტი:**

**— პირად საუბარში მითხარით, რომ სახელმწიფო ქონების მითვისების ფაქტები გამომჟღავნდა, მაგრამ აქედან ბევრიც მიიჩქმალა, რადგან ზოგიერთი მიმთვისებელი ამ ხელისუფლებაშიც გრძნობს თავს კომფორტულად და ძილის დაფრთხობა არ სურს, ამიტომ ჩუმადაა. რას გულისხმობთ კონკრეტულად?**

– დიახ, სახელმწიფო ქონება არის ხალხის ქონება, ჩვენი საზოგადოების საკუთრება და აქედან გამომდინარე ვცდილობთ თვალყური ვადევნოთ ამ ქონების მოვლა-პატრონობისა და განკარგვის პროცესს. პრივატიზების პროცესი საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანია, თუმცა მას ხელისუფლებისგან და საზოგადოებისგან აქტიური მონიტორინგი სჭირდება, იქ ბევრი ხარვეზი და პრობლემაა.

**— რას ხარვეზებია?**

– დიდი პრობლემაა, როცა სამსახური ქონებას ყოველგვარი გათვლების გარეშე მოცემული დროის მიხედვით განკარგავს და არ ფიქრობს იმაზე, რა შედეგი მოჰყვება მის პრივატიზებას, ან რა ზარალი ადგება ბიუჯეტსა და სახელმწიფოს მარკეტინგული ანალიზის გარეშე განკარგვისას. სახელმწიფო ქონების პრივატიზება მეტად მნიშვნელოვანი პროცესია, ვიდრე ჩვეულებრივი ყიდვა-გაყიდვის პროცესი, აქ საუბარია ხალხის ქონებაზე, აქ საუბარია იმ ზარალზე, რომელიც შეიძლება მივიღოთ ზოგიერთი უპასუხისმგებლო, ნაკლებად კომპეტენტური ან კორუმპირებული საჯარო მოსამსახურის დაუდევრობის, ან განზრახ ბრალეულობის გამო. ხშირ შემთხვევაში საქმე გვაქვს კორუმპირებულ-კლანური წარმოშობის სისტემის მონაწილეებთან.

მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო ქონების განკარგვა ხორციელდება და ხორციელდებოდა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სადაც გათვალისწინებულია სახელმწიფო ქონების განკარგვის 2 საინტერესო ფორმა, ერთი, ეს გახლავთ ინტერნეტ-აუქციონი, ხოლო მეორე არის პირდაპირი განკარგვის წესი, როცა გადაწყვეტილებას ქონების განკარგვაზე იღებს ქონების განმკარგველი ორგანო ხელისუფლების პირველი პირის თანხმობით.



ირაკლი ღლონტი

*გაგრძელება მერვე გვერდზე*



N 01.14.11.003.025

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია N 882013143247 - 02/04/2013 17:43:06

მომზადების თარიღი 08/04/2013 15:54:27

საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
| --- | --- | --- | --- |
| თბილისი | ვაკე | | |
| 01 | 14 | 11 | 003/025 |

მისამართი: ქალაქი თბილისი, გამზირი ილია ჭავჭავაძე, N 60, (ნაკვეთი 03/025)

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 2579.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 01.14.11.003.024; 01.14.11.003.018;
შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N1-საერთო ფართით 2050.65 კვ.მ. N2-საერთო ფართით 1703.5 კვ.მ.

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია: ნომერი 882012045205, თარიღი 03/02/2012 13:28:48
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 03/02/2012

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:
- ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი: 03/02/2012

მესაკუთრეები:
შპს "კოლხია XXI", ID ნომერი: 206335474

მესაკუთრე: შპს "კოლხია XXI"

აღწერა:

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882013143247 თარიღი 02/04/2013

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "ბანკი ქართუ" 204891652;
მესაკუთრე: შპს "კოლხია XXI" 206335474;
საგანი: მიწის ნაკვეთი 2579.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობებით;



## კახა კალაძე ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების ზრდას ელოდება

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ქსელების გაუმჯობესებისთვის „ენერგო-პრო ჯორჯიასგან“ კონკრეტული გეგმის წარმოდგენას კატეგორიულად ითხოვს.



„რეგიონებში ქსელთან დაკავშირებით გვაქვს რთული მდგომარეობა. ამინდის ერთ ცვლილებაზე ხდება ელექტროენერგიის გათიშვა, განსაკუთრებით იქ, სადაც ძალიან მძიმე მდგომარეობა გვაქვს ქსელის კუთხით. ეს პრობლემები არ დაწყებულა დღეს და გუშინ, წლებია, ეს პრობლემები არსებობს ქსელში. ჩვენი მხრიდან კატეგორიული მოთხოვნაა, რომ წარმოდგენილ იქნას გეგმა „ენერგო-პრო ჯორჯიაში“ ქსელების რეაბილიტაციის მიზნით ინვესტიციების განხორციელების კუთხით, რათა ელექტროენერგიის გათიშვა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი“, – განაცხადა კალაძემ.

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი ნიკოლაი ნიკოლოვი კი აცხადებს:

„ჩვენ განვიხილეთ ყველაფერი, რაც მოხდა დეკემბრიდან მოყოლებული. აჭარაში შტორმით დაწყებული, ჭიათურა-საჩხერის მოვლენებით დასრულებული, ასევე იმერეთში ერთი კვირის წინ მომხდარი. რასაც ითხოვს სამინისტრო, ჩვენ ვალდებული ვართ, გავაკეთოთ. საუბარია სამოქმედო გეგმაზე, რა გავაკეთოთ, როგორ გავაუმჯობესოთ სიტუაცია, როგორ გავზარდოთ ინვესტიცია, რომელ სფეროებში გავაკეთოთ ეს, რომ ეფექტი მოგვცეს. უახლოეს მომავალში მზად იქნება გეგმა და მას წარმოვადგენთ“, – განაცხადა ნიკოლოვმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „იმედზე“ გაფორმებული მემორანდუმი გასაჯაროვდება



პრემიერ ღარიბაშვილის განცხადებით, მემორანდუმის გასაჯაროება თავად პატარკაციშვილის ოჯახს სურს.

„საქმე გვქონდა სისტემურ დანაშაულთან, წამებებთან, არაადამიანურ მოპყრობასთან. სისტემური იყო ბიზნესის დატერორება – სხვადასხვა ადამიანებს უკანონოდ ართმევდნენ მედიასაშუალებებს – მათ საკუთრებას. ტელეკომპანია „იმედი“ იმის კლასიკური მაგალითია, როგორ წაართვეს ის პატარკაციშვილების ოჯახს. ჩვენ ეს საკითხი მთავრობის სხდომაზე გამოგვაქვს, იუსტიციის მინისტრს ოფიციალური მომართვა აქვს ოჯახიდან. ალბათ, რამდენიმე დღეში მოხდება ამ დოკუმენტის გასაჯაროება და როგორც ქართული, ისე საერთაშორისო საზოგადოება იხილავს, როგორ მოხდა ამ ოჯახისთვის ბიზნესის წართმევა“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, ყველა, ვინც აღნიშნულ დანაშაულებრივ სისტემაში მონაწილეობდა, პასუხისგებაში იქნება მიცემული.

„ეს იქნება სკანდალი, კიდევ ერთი სამარცხვინო ფაქტი, ჩადენილი სააკაშვილის ხელისუფლების მიერ და ამაზე მკაცრად მოუწევთ პასუხისგება. ყველა, ვინც ამ დანაშაულებრივი სისტემის შემქმნელი იყო, იქნება პასუხისგებაში მიცემული. არ უნდა იქნეს განცდა, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი შენელდა – პირიქით“, – დასძინა პრემიერმა. (ინტერპრესნიუსი)

## ღარიბაშვილის საქმე არ არის, ვანო სად იჯდებაო



„ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, მიხეილ მაჭავარიანი პრემიერ ღარიბაშვილის განცხადებას ეხმიანება:

„საქართველოსნაირ ქვეყანაში პრემიერ-მინისტრის საქმე არ არის, როგორ იჯდება და სად იჯდება ყოფილი პრემიერ-მინისტრი. ღარიბაშვილის განცხადება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ვანო მერაბიშვილის პატიმრობა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ოპოზიციონერი ლიდერი უნდა იყოს ციხეში, რათა მთავარ ოპოზიციურ პარტიას სწორედ ასე გაუსწორდნენ. დიდია შიში ოპოზიციის მიმართ. დღეს, როცა მთავრობა ვერც ერთ დაპირებას ვერ ასრულებს და ადრე თუ გვიან, ეს საკითხები დღის წესრიგში დადგება, ყველაზე მარტივი გზა ოპოზიციური პარტიის განადგურებაა: სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა და ფინანსური რესურსების „ჩაჭრა“. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ოპოზიცია ფიზიკურად განადგურდეს“. – განაცხადა მაჭავარიანმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ „არავის სჭირდება მერაბიშვილის გატაცება, ის ძალიან კარგად ზის და კარგად იჯდება“. (ინტერპრესნიუსი)

## იმ დროს სტაჟიორი ყოფილა



საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მთავარი პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი შოთაძე გია გვიჩიანის საქმის განხილვის დროს სტაჟიორი იყო.

ამით პრემიერმა იმ კითხვას უპასუხა, რომლის მიხედვითაც, გია გვიჩიანის ადვოკატები აცხადებენ, რომ მთავარი პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი შოთაძე მონაწილეობდა აშშ-ის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის დამალვაში გვიჩიანის საქმესთან დაკავშირებით. „რაც შეეხება ირაკლი შოთაძის მონაწილეობას რაღაც ფაქტის დამალვაში, მე მოვიკითხე ეს საქმე, სხვათა შორის, და მივიღე განმარტება უშუალოდ შოთაძისგან, რომ ის ამ დროს იყო სტაჟიორი და ესწრებოდა სხვადასხვა ადამიანების პროცესებს. მათ შორის შესაძლოა დაესწრო გია გვიჩიანის პროცესს. სტაჟიორი იყო ადამიანი. სტაჟიორი ესწრება სასამართლო პროცესებს, რომ გაერკვიოს. ახლა გამოჩნდა, რომ მისდა საუბედუროდ, ამ პროცესს დაესწრო ეს ადამიანი“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რას მალავს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე?

*მეშვიდე გვერდიდან*

ცნობილია, რომ არაერთი ქონება არის განკარგული ექსპრეზიდენტის ხელმოწერით, მათ შორის სიმბოლურ ფასად – 1 ლარადაც კი. მაგალითად მინდა მოვიყვანო თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის №60-ში მდებარე 2579 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე 3754,15 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი: 01.14.11.003.025). ეს ქონება 2011 წლის 2 მარტს „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ №1-3/184 ბრძანების საფუძველზე აღირიცხა სახელმწიფო საწარმოს შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ საკუთრებაში, რომლისგანაც ის განიკარგა და 4 მარტს აღირიცხა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საწარმო „ეკრანის“ საკუთრებაში, 3 აგვისტოს კი ის იპოთეკით დაიტვირთა ბანკ „ქართუში“. დაახლოებით 4 თვეში, 28 დეკემბერს ქონება იძულებითი აღსრულების წესით მოექცა ისევ სახელმწიფო საკუთრებაში.

**— ბატონო ირაკლი, იქნებ ეს ჩვეულებრივი პროცესია და საქმე არ გვაქვს კორუფციასთან? საპირისპიროდ რა არგუმენტები გაქვთ?**

– დავასრულებ ამ პროცესის აღწერას, მინდა მკითხველმა ადვილად გამოიტანოს აზრი და საზოგადოებისთვის მიმინდვია შემდგომი შეფასების გაკეთება. ყველაზე მნიშვნელოვანი რაც არის, 2012 წლის 3 თებერვალს ეს მრავალმილიონიანი სახელმწიფო ქონება სიმბოლურ ფასად შეიძინა შპს „კოლოსი-XXI“-მა, ნასყიდობის ხელშეკრულებით კი გათვალისწინებული იყო ვალდებულებების შესრულების პირობა, ანუ ქონება განიკარგა ვალდებულებებით. კერძოდ, უნდა განხორციელებულიყო ინვესტიციები. ქონება განიკარგა სიმბოლურ ფასად, თუ არ მეშლება, ეს იყო 1 ლარი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ ქონებით დაინტერესებული გახლდათ დღეს დედაქალაქისთვის კარგად ნაცნობი „პოლიტიკური“ ფიგურა, „ნაციონალური მოძრაობიდან“ „ქართულ ოცნებაში“ პორტირებული საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შიხიაშვილი და მისი მეგობრები.





**— ანუ, ამბობთ, რომ მრავალმილიონიანი სახელმწიფო ქონება სიმბოლურ ფასად შიხიაშვილმა კორუფციული გზით შეიძინა? ეს ძალიან საინტერესო სიახლეა. გაქვთ ამის დამადასტურებელი დოკუმენტები?**

– ეს ჩემთვის ცნობილი გახდა რამდენიმე თვის წინ, მაქსიმალურად ვეცადე, გამერკვია, რასთან გვქონდა საქმე და მივედი იქამდე, რომ ეს მრავალმილიონიანი ქონება ექსპრეზიდენტის ხელმოწერით, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს სიმბოლურ ფასად გადაეცა ადამიანს, რომელსაც საკუთრებაში საცხოვრებელი სახლიც კი არ გააჩნია და რამდენადაც ვფლობ ინფორმაციას, ის ცხოვრობს მოსკოვის გამზირზე ქირით. რა დამსახურების გამო, ან რა ინვესტიციების განხორციელების მოლოდინი ჰქონდა მაშინდელ ხელისუფლებას იმ ადამიანისგან, რომელიც აბსოლუტურად უცნობია სამეწარმეო სფეროში და მისი ერთადერთი „პრივილეგია“ ის გახლავთ, რომ ირაკლი შიხიაშვილის მეგობარია და ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, გარკვეული დროის მანძილზე ის ასრულებდა პირადი მძღოლის ფუნქციას?

**— მისი „ოცნებაში“ გადაბარგებაც შეიძლება ამ ქონების შენარჩუნება იყო...**

– შიხიაშვილი არის კაცი, რომელიც მზად არის, უარი თქვას საკუთარ პრინციპებზე და საკუთარი კეთილდღეობის სანაცვლოდ საკუთარ თავთან წავიდეს კომპრომისზე, მე ვერ გეტყვით, რა პასუხს გასცემს ის ამ ამბების გახმაურებას, მაგრამ ჩვენ, საზოგადოებამ კარგად ვნახეთ მისი და მისი ძველი „ნაციონალი“ მეგობრების, ასევე ახალი, „ნაციონალებიდან“ „ოცნებაში“ პორტირებული თანაგუნდელების, თევდორაძის, ქავთარაძის, ხაჩირაშვილის, „შონზოს“ და სხვების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, ჩვენ კარგად ვნახეთ კარვების იმედად მყოფ დედაქალაქში საკრებულოს ბიუჯეტის ხარჯზე 8800-ლარით დაფინანსებული „თბილისობის“ სუფრა რესტორან „წისქვილში“ და „ჯეკ დანიელსებში“ დახარჯული დედაქალაქელების ფული, რომელსაც დაჟინებით მიმართლებდა ერთ-ერთ სატელევიზიო დებატში ზაზა გაბუნია. ისინი არაფრით არ ჩამოუვარდებიან დედაქალაქის მერს, რომელსაც ვედავებით ჩვენი საკუთარი ფულის გაფლანგვას.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია გარიგებული იყოს შიხიაშვილი მოქმედ ხელისუფლებასთან, რომ ამ ქონების შენარჩუნების სანაცვლოდ მზად არის ემსახუროს მათ ინტერესებს და დაუპირისპირდეს ძველ თანაგუნდელებს, რომელთა ხელშეწყობითაც იგი მრავალმილიონიანი ქონების მესაკუთრედ იქცა.

მინდა „ალიას“ საშუალებით მივმართო შიხიაშვილს და ვუთხრა, რომ საზოგადოება არ არის ბრიყვი და მოგვბეზრდა თვალში ნაცრის შეყრა, რომელსაც მოურიდებლად აგრძელებს ახალი ხელისუფლებაც, ყველამ კარგად იცის ყველაფერი და დემოკრატიულად, რამდენიმე თვეში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ჩვენ გავაკეთებთ ღირსეულ არჩევანს ღირსეული მომავლისთვის, სადაც აღარ იქნებიან შიხიაშვილის, თევდორაძისა და მათი თანაგუნდელების მსგავსი უპრინციპო პოლიტიკოსები.

ბატონი შიხიაშვილის გარდა, მე მინდა მივმართო „ნაციონალური მოძრაობის“ იმ ლიდერებს, ვინც ხელს უწყობდა მსგავს ავისმომასწავებელი ინიციატივების განხორციელებას, რომ თითოეული საქმე თავის დროზე იქნება შესწავლილი და საზოგადოება მაქსიმალურად იქნება ინფორმირებული. თუ ამას ამჟამად მოქმედი ხელისუფლება ვერ აკეთებს, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ხვალ-ზეგ ჩვენთან ერთად გადაიბარებენ სახელისუფლებო ორგანოების მენეჯმენტს და დაიწყებენ ნანატრი „სამართლიანობის აღდგენას“, იქ ვიქნები მეც ჩემს მეგობრებთან ერთად და ვიზრუნებ თითოეული ფაქტის გასაჯაროებასა და კანონიერების დაცვაზე.

**ვინაიდან შიხიაშვილი ჩინეთში იმყოფება ვიზიტით, „ალიამ“ საქმის კურსში ჩააყენა საკრებულოს პრესსამსახური და სთხოვა, შიხიაშვილის ან მისი მძღოლის კომენტარების მოპოვებაში დაგვხმარებოდნენ. გვიპასუხეს, რომ საკრებულოს თავმჯდომარე და მისი მძღოლი გელა დევაძე შიხიაშვილის დაბრუნების შემდეგ გადაწყვეტენ, უპასუხონ თუ არა ბრალდებებს.**

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გნახავთ, როგორი გამოგონილია



„ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის ლევან ბეჟაშვილის განმარტებით, დავით კეზერაშვილთან დაკავშირებით საფრანგეთის სასამართლოში გაგზავნილი შუამდგომლობები ჩვეულებრივ თავდებობის წერილებს წარმოადგენს და მასში სკანდალური არაფერია.

„ბოლო პერიოდის განმავლობაში ხელისუფლებას საკმაოდ მძიმე თემები დაუგროვდა. ეს არის მთავარი პროკურორის საკითხი, ვანო მერაბიშვილის ციხიდან გატაცების ფაქტი, პირდაპირი წესით არჩეული თბილისის მერისთვის უფლებამოსილების უკანონოდ შეჩერება და ასე შემდეგ. ამიტომ ხელისუფლება ცდილობს, ვითომ სკანდალური თემებით მთავარი პოლიტიკური საკითხები გადაფაროს. სკანდალი ატეხილია არაფრის გამო, რადგან საქმე ჩვეულებრივ თავდებობის წერილებს ეხება, რომელსაც ჩვენდა სამწუხაროდ, ბოლო პერიოდის განმავლობაში სასამართლოებში ხშირად ვაგზავნით. დეპუტატები სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმართავენ, რომ თავი შეიკავონ პატიმრობის თუ ექსტრადიციის გამოყენებისგან, რადგან სახეზეა პოლიტიკური ლიდერების პოლიტიკური დევნა. დავით კეზერაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური წევრი იყო და პარტიის წევრების მხრიდან საფრანგეთის სასამართლოსთვის თავდებობის წერილის გაგზავნა, არავისთვის გასაკვირი არ არის. ეს არის ჩვეულებრივი, ღია დოკუმენტი და ასეთ პრაქტიკას სხვადასხვა შემთხვევებში ვიყენებთ. რაც შეეხება პრეზიდენტ სააკაშვილის წერილს, აქაც ნათელია, რომ ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირების მიმართ ხორციელდება პოლიტიკური დევნა და შესაბამისად, პრეზიდენტმაც რომ მიმართოს სასამართლო ხელისუფლებას, რომ ამ ადამიანის მიმართ, პოლიტიკური რეპრესიების გამო, აღმკვეთი ღონისძიება ან ექსტრადაცია არ გამოიყენოს, მგონი, ეს გასაკვირი არ არის... საფრანგეთის სასამართლო საქართველოს მთავრობის მოთხოვნით დავით კეზერაშვილის ექსტრადიციის საკითხს იხილავს. არანაირ იარაღის საერთაშორისო უკანონო ბრუნვაზე და ვაჭრობაზე საუბარი არ არის. ეს ცალკეული პიროვნებების გამოგონებაა“, – აცხადებს ბეჟაშვილი. (ინტერპრესნიუსი)

## პატიმარმა პროტესტის ნიშნად თითი მოიჭრა



ადვოკატ ლიკა ბითაძის განცხადებით, პატიმარმა ზაზა სოფრომაძემ პროტესტის ნიშნად თითი მოიჭრა. მისი თქმით, პატიმარმა, რომელიც ამჟამად რუსთავის მეექვსე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იხდის სასჯელს, თითი იმ პირობების გამო მოიჭრა, რომელიც მას ამ დაწესებულებაში აქვს.

„მას აქვს გაუსაძლისი და საშინელი პირობები. არ აქვს ელემენტარული ჰიგიენური პირობები“, – აღნიშნა ადვოკატმა და დასძინა, რომ სოფრომაძეს სურს ქუთაისში, გეგუთის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანა. (ინტერპრესნიუსი)

# „ხადური ამბობს ერთს, პრემიერი — მეორეს, სანიკიძე — მესამეს“

**„ალიას“ ესაუბრება ექსპერტი განათლების საკითხებში მანანა ნიკოლაიშვილი:**

– მიუხედავად იმისა, რომ საბიუჯეტო პროცესები დასრულდა და პარლამენტმა მიიღო ბიუჯეტის კანონი, კატასტროფული სიტუაციაა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსებასთან დაკავშირებით. ის 760 მილიონი ლარი, რაც განათლებაშია ჩადებული, ნამდვილად საკმარისი არაა. ახალ ხელისუფლებას, როგორც თავად ამბობს, აქვს სამი პრიორიტეტი: სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა და განათლება. ვიყოთ ობიექტურები და ვთქვათ, რომ ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით პრიორიტეტულობა შესრულდა, მაგრამ როცა წერ ბიუჯეტის კანონში, რომ ესა და ეს დარგი არის პრიორიტეტული, ამან ასახვა უნდა ჰპოვოს ბიუჯეტში და იქ უნდა მოხდეს აბსოლუტური დაფინანსება ამ დარგის. ალბათ, ხელისუფლების წარმომადგენლები შემედავებიან, რომ ეს არაობიექტური საუბარია, რადგანაც საქართველოს ბიუჯეტი არის 7 მილიარდი და შეზღუდულია, ყველა პრიორიტეტი დააკმაყოფილოს ერთნაირად და, რომ ამჯერად განათლებას ვერ მივეცით ის თანხა, რაც რეალურად სჭირდება. კარგად მესმის საბიუჯეტო პროცესები და ვხედავ, რომ მთავრობამ მართლაც, გარკვეულად დააფინანსა განათლება: მიეცა თანხები ბაკალავრიატს 17 სპეციალობაზე, ასევე მასშტაბური პროექტია დოქტორანტურის დაფინანსება მთელი საქართველოს მასშტაბით, ასევე მიზერული თანხა მოემატა საშუალო სკოლების ადმინისტრაციასაც და მასწავლებლებსაც, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. იმას, რასაც „ოცნება“ შეჰპირდა მასწავლებლებს, რომ მათ მე-13 ხელფასსა და ხელფასზე დანამატს მისცემდნენ პრემიის სახით და დაკავებული 20 პროცენტიდან ნაწილს წლის ბოლოს დაუბრუნებდნენ მასწავლებლებს, ეს ჯერ ვერ განხორციელდა. რამდენადაც ჩემამდე მოაღწია ინფორმაციამ, რომ ამის გაკეთებას გაზაფხულზე აპირებენ, მაგრამ ეს არ ამართლებს ხელისუფლებას. ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო იმისთვის, რომ ერთი მილიარდი ლარი მაინც ჩადებულიყო განათლებისა და მეცნიერების ბიუჯეტში.

**— საიდან ეს ერთი მილიარდი? შეგიძლიათ, წყარო დასახელოთ ამ თანხის მოძიების? ისიც ძლივს მოიძებნა, რაც დაამატეს.**

– წყარო არის ის გაზრდილი ხარჯები, რაც მთავრობას თავისი მოხელეებისა და სახელმწიფო აპარატის შენახვაზე ეხარჯება. აქ იგულისხმება სახელმწიფო ორგანოების მომსახურების, სახელმწიფო დაწესებულებებისა და საერთოდ, სახელმწიფო ხარჯები: აქ შედის სტუმრების დახვედრა, მიღება, ბანკეტები, ანუ, ყველაფერი ეს არის საკმაოდ ძვირადღირებული, არადა, პირველი წყარო სწორედ ესაა. ამ ხარჯების შემცირებით შესაძლოა დიდი ეკონომიის გაკეთება. მეორე წყარო, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, არის ძალოვანი სამინისტროები. სააკაშვილის დროს ძალოვანი სამინისტროები ფინანსდებოდა უაღრესად ხელგაშლილად და „ნაციონალების“ პარტია, ყველამ ვიცით, იყო ომის პარტია. „ქართული ოცნების“ კოალიცია კი არის მშვიდობისა და თანხმობის პარტია, ამიტომ პრინციპულად და რადიკალურად უნდა შემცირებულიყო ძალოვანი სამინისტროების ხარჯები და ბიუჯეტი. უფრო მეტსაც გეტყვით: ძალოვან სამინისტროებში, ესაა შინაგან საქმეთა თუ თავდაცვის სამინისტროები, ძალიან დიდი კონტინგენტია თავმოყრილი და ამ კადრების შემცირებაა საჭირო. აი, აქ არის რეზერვები. ძალიან მაინტერესებს, რატომ გაგრძელდა ახალი ხელისუფლების პირობებში ის, რასაც გარანტირებული პრემიები ჰქვია და რაც მიშას დროს იქნა დაკანონებული? ამას არ უნდა გადაეხედოს? ერთადერთი ლადო პაპავამ მოიხსნა გარანტირებული პრემია, ასევე რექტორის ხელფასზე დანამატი და საუკეთესო სტუდენტს დაუნიშნა ამით სტიპენდია, რაც სხვა არც ერთმა რექტორმა არ გააკეთა. ეს როგორ არ ვთქვა? რაც მე ჩამოვთვალე, ეს ყველაფერი ისეთი წყაროებია, ეს რეზერვი რომ გამოგვეყენებინა, უკვე მილიარდზე მეტი იქნებოდა განათლებისა და მეცნიერების ბიუჯეტში. განათლებაზე თუნდაც სამი მილიარდი რომ გამოიყოს, არ გეგნოთ, რომ ფუფუნების ხანა დაიწყება ჩვენთვის. არაფერიც. უბრალოდ, ნორმალური პროცესები წარიმართებოდა: ბავშვები იქნებოდნენ ოდნავ მოწესრიგებულ შენობებში და განათლების ხარისხი, ცხადია, მნიშვნელოვნად აიწევდა. ამდენი მზადება და კერძო რეპეტიტორობა ჩვენს მოსწავლეებს არ დასჭირდებოდათ, ანუ, კონკურენტუნარიანი გახდებოდა ჩვენი სკოლა და ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი. ასევე, მოხდებოდა მეცნიერების წინსვლა, რადგანაც, მეცნიერება თუ დაეცა, ქართველი ერი საერთოდ გაქრება.



„ათასი სულელური გადასახადი რომ არის, ამის ხარჯზე უნდა დაიწიოს კომუნალურმა გადასახადებმა და უნდა მოხდეს ახალი, განათლების გადასახადის დაწესება“

მაქვს სულ ახალი ინფორმაცია, რასაც „ალიას“ მეშვეობით ვამბობ, რომ ახალმა ხელისუფლებამ უნდა შექმნას განათლების ფონდი. ჩემი აზრით, აქ მარტო ძირითადი საბიუჯეტო თანხების გადასროლა კი არ უნდა მოხდეს, ფონდში უნდა იქნას მოზიდული საქველმოქმედო ხარჯები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იგივე ჩვენი ემიგრანტების გაღებული ფული და ასევე, არ უნდა მოერიდოს ხელისუფლება და ათასი სულელური გადასახადი რომ არის, ამის ხარჯზე უნდა დაიწიოს კომუნალურმა გადასახადებმა და უნდა მოხდეს ახალი, განათლების გადასახადის დაწესება.

**— და ამას როგორ შეხვდება საზოგადოება, შემოსავლიდან გადასახადებს ისედაც იხდის...**

– საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობს. თქვენ არ გეგონოთ, რომ სასწაულს ვამბობ. ასეთი რამ უკვე აპრობირებულია იგივე ამერიკაში, სადაც კოლოსალური თანხები იდება განათლებაში და დღეს ამერიკულმა უნივერსიტეტებმა გაუსწრო თვით კემბრიჯსა და ოქსფორდს. ვიმეორებ, ეს არ არის მხოლოდ საბიუჯეტო დაფინანსება. იქაა ადგილობრივი, ფედერალური, განათლების მოსაკრებელი და ასევე, ზღვარგადასული ქველმოქმედება და ეს კანონმდებლობით იქნება გამაგრებული.

**— კი, მაგრამ ჩვენი შედარება მდიდარ ამერიკელებთან შესაძლებელია?**

– ეს გადასახადი, რაზეც გითხარით, შემოსავლების მიხედვით უნდა განისაზღვროს. მცირე შემოსავა-

*გაგრძელება მეათე გვერდზე*



„მასწავლებლები ისე განრისხებულები არიან, რომ მე, პირადად, მთავრობის დამცავი წინადადება რომ ვთქვა ერთი მაინც, ჩემთან მოსული მასწავლებელი ზურგს მაქცევს და მიდის. თუ ტელეფონზე მესაუბრება, მითიშავს... „ქართული ოცნების“ პროგრამაში რომ ჩავწერეთ, დახურული სკოლები ეტაპობრივად აღვადგინოთო და ივანიშვილი რომ ამბობდა, სკოლების აღდგენას დავიწყებთო, ის შენობები გაყიდულია და თან სოლიდურ ფასად“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვენეციის კომისია რეფორმაში დაგვეხმარება




ვენეციის კომისია მზად არის, ქართულ მხარეს საკონსტიტუციო რეფორმაში დაეხმაროს.

„ვენეციის კომისიას აქვს თანამშრომლობის სურვილი, რაც ძალიან კარგი და მისასალმებელია. პრაქტიკულად, ყველა ვთანხმდებით, რომ კონსტიტუციაში ცვლილებები უნდა განხორციელდეს. არის ბევრი ნორმა, რაც გადახედვასა და გადამუშავებას საჭიროებს, თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ კონსტიტუცია მთლიანად უნდა შეიცვალოს“. – განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ზურაბ აბაშიძემ.

დეპუტატ ეკა ბესელიას თქმით, „ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა, ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების შემდეგ, ქვეყანაში კონსტიტუციური სტაბილურობა დამკვიდრდეს. კონსტიტუციაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს მთავრობის, პარლამენტის, სასამართლოს უფლებამოსილებების საკითხი. ასევე პრეზიდენტის როლი. ვენეციის კომისია მიიჩნევს იმასაც, რომ უნდა გაიზარდოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი“. – აღნიშნა ბესელიამ. (ინტერპრესნიუსი)

## შეკითხვა პრემიერს



„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა საქართველოს პრემიერს სიმბოლურად კითხვით მიმართეს. „ნაცმოძრაობის“ წევრები ირაკლი ღარიბაშვილს ყოფილი პრემიერის დანაპირებსაც ახსენებენ, რომელიც სოფლის მეურნეობაში 1-მილიარდიანი ინვესტიციის განხორციელებას ეხება. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე აცხადებს, რომ ეს დაპირება ამ დრომდე არ შესრულებულა.

„ჩვენ გვქონდა ძალიან ბევრი კითხვა პრემიერ-მინისტრთან და მოვამზადეთ რამდენიმე. ამ კითხვების ნაწილი დავუსვით მას, როდესაც იყო პარლამენტში. ზოგ კითხვაზე პასუხი ვერ მივიღეთ და გადავწყვიტეთ, დავუსვათ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხუთი შეკითხვა. იმედია, შეეცდება, ამ კითხვების ნაწილს მაინც გასცეს პასუხი. კითხვები ძირითადად ეხება მომავალი წლის ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობას და ვალებს, რომელსაც ქვეყანა იღებს“, – აცხადებს ჯაფარიძე. (ინტერპრესნიუსი)

## მთავრობამ მანქანებზე 90 მილიონი დახარჯა?




„ნაცმოძრაობის“ განცხადებით ხელისუფლების სხვადასხვა უწყებები ძვირადღირებული ავტომობილების შეძენას აგრძელებენ.

„მიუხედავად საზოგადოების მხრიდან არაერთხელ დაფიქსირებული უარყოფითი დამოკიდებულებისა, საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა შტოები აგრძელებენ ძვირადღირებული ავტომობილების დიდი რაოდენობით შეძენას და დაკავებულნი არიან საკუთარი კომფორტის შექმნით. ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როცა გასული წელი სახელმწიფო ბიუჯეტმა დაასრულა მილიარდიანი გარღვევით, ეკონომიკას დააკლდა მილიარდ-ნახევარ ლარზე მეტი, ხოლო წელს მთავრობა იღებს მილიარდ 600 მილიონიან ვალს... ამის გათვალისწინებით, გაუგებარია, რატომ დახარჯა მთავრობამ მოსვლის დღიდან მანქანების, მათ შორის ძვირადღირებული მანქანების შესაძენად 90 მილიონ ლარზე მეტი...

კახი კალაძის სამინისტროს დაქვემდებარებულმა უწყებამ, მხოლოდ ერთ დღეში 1 მილიონ 135 ათასი ლარის მანქანები შეიძინა. მხოლოდ ამ ერთ შესყიდვაში შედის 30 „ტოიოტა ქემრი“ 60 621 ლარად. ასევე მოხდა სამი ძვირადღირებული „ტოიოტა ლენდკრუიზერის“ შეძენა (თითოეულის ფასი 116 ათასი ლარი) და ორი „ლენდკრუიზერ პრადო“. მხოლოდ 2013 წლის იანვრიდან დღემდე შსს-მ მანქანებში გადაიხადა 22 მილიონ ლარზე მეტი, რაშიც არ შედის დეპარტამენტების მიერ შესყიდული მანქანებისთვის გადახდილი თანხა...“ – ნათქვამია განცხადებაში (ინტერპრესნიუსი)

მეცხრე გვერდიდან

ლი გაქვს? გადასახადი შესაბამისად, ეკვივალენტი უნდა იყოს შემოსავლის, მაგრამ გადასახადი კი ყველამ უნდა გაიღოს, ჰყავს შვილი და შვილიშვილი, თუ არა, რადგანაც ეს ყველას სჭირდება, ამ წუთას თუ არა, მომავალში მაინც. ჩვენთან რატომ დაიხურა 12 000 სკოლა? ფული არ იყო და იმიტომ. საგარეჯოდან დამირეკა მასწავლებელმა და ასეთი ფაქტი მითხრა: ერთ სოფელში 50 ბავშვი იყო დაწყებით სკოლაში და ჩაითვალა, რომ მცირეა ბავშვთა რაოდენობა. ამიტომ ბავშვები მიუერთეს კაკაბეთის საჯარო სკოლასო. ჯერ 50 ბავშვი

ფული? ლომაიას დამცველი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ პირველად, იცით, რამდენი მოითხოვა ერთ ბავშვზე ვაუჩერი? 600 ლარამდე, ეს იყო 2005 წლის ოქტომბერში და რა მოხდა? თავად ისეთი გავლენიანი მინისტრი, როგორიც ლომაია იყო, სასაცილოდ აიგდეს მაშინდელმა პრემიერმა და მთავრობამ და 220 ლარზე ჩამოუყვანეს თანხა. სულ ასე იყო და დღესაც ასეა, რომ ყველაზე დიდი ომი მიდის განათლების ბიუჯეტზე. კაპიკი არ ემეტებათ განათლებაზე და არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის სათავეში.

**— და რატომ უკანკალებთ ამისთვის ხელი?**

– რატომ? ასფალტის

უცხოელი ექსპერტები გაძლევენ რჩევას, დახურე და გაანადგურე სისტემა“, ჯავახიშვილში 22 ფაკულტეტი დაიყვანეს 6 ფაკულტეტზე, გაანადგურეს კაბინეტ-ლაბორატორიები, არ გინდა ფუნდამენტური მეცნიერებები და კვლევები, მიახურე ეს 12 000 სკოლაო, ეს იყო ახალი სისტემის მშენებლობა? ახალი სისტემის აშენებას საგანმანათლებლო კერების დახურვა რად უნდოდა?

პირებულ მე-13 ხელფასს. მასწავლებლები დაიღალნენ. ხადური ამბობს ერთს, პრემიერი – მეორეს, სანიკიძე – მესამეს და ასეთი რამ შეიძლება? ეს

სააკაშვილი დაამარცხა განათლებულმა საზოგადოებამ, რადგანაც ქართველობამ დაინახა, რომ განათლება ოჯახებისთვის ხელმიუწვ-

**„სკოლაში რომ ბავშვმა „პასტის“ თავსახური გადაყლაპა და ამის გამო ბავშვი დაიღუპა, რადგან სკოლებში სამედიცინო კაბინეტები გააუქმეს, ეს სწორია? ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია, რომ სამედიცინო შტატი და კაბინეტი აღედგინა სკოლებში და რატომ არ აღადგინა? ამაზე სერგეენკომ წარმოუდგენელი რამ განაცხადა, ამას მანდატურები მიხედავენო. რა მანდატურები? რატომ ვერ უშველა იმ ბავშვს მანდატურმა?“**



# ვინ და რატომ არ შეასრულა ივანიშვილის დაპირება?

სოფლის პირობებზე იცით, რამდენია? როგორ არის ეს რაოდენობა მცირე? ვიკითხე, რით დადიან სკოლაში-მეთქი და სამარშრუტო ტაქსითო, რადგან სხვა ტრასპორტი იქ არ არის, მოსწავლეს კი შეღავათი არ აქვს და თქვენ გჯერათ, რომ ის ბავშვები ყველანი ტრასპორტით დადიან (აღელვებული)? დადიან ფეხით. ამ შემთხვევაში სკოლის ავტობუსი უნდა იყოს, მაგრამ განათლების სამინისტრომ საიდან მოიტანოს

დაგებაში კეთდება ფული, გამწვანებაში, მშენებლობაში, ენერგეტიკაში, სოფლის მეურნეობაში, ტრაქტორების შემოყვანაში კეთდება ფული, მაგრამ ბავშვზე რომ არის გამოყოფილი ფული, იმას ვერ „მოტეხავ“, ის უნდა დაახარჯო ბავშვს. გარდა ამისა, ეს სავალუტო ფონდი რომ ერევა ჩვენს საქმეებში და



**ერთადერთი ლადო პაპავამ მოიხსნა გარანტირებული პრემია, ასევე რექტორის ხელფასზე დანამატი და საუკეთესო სტუდენტს დაუნიშნა ამით სტიპენდია, რაც სხვა არც ერთმა რექტორმა არ გააკეთა. ეს როგორ არ ვთქვა?“**

სანამ ასეთი რჩევები კიდევ მოდის, არაფერი არ იქნება. ივანიშვილმა, თუ უნდა, რომ გადაიქცეს ილია ჭავჭავაძის ტოლ და მსგავს მოღვაწედ, უნდა შექმნას განათლების ფონდი, ამით საქართველო გადარჩება და გამდიდრდება, რადგანაც ნიჭიერი ერი ვართ და ყველაფერი თავის ადგილას დადგება, რადგანაც განათლებაში ჩადებული ყოველი კაპიკი გიბრუნდება ასმაგად.

ანუ, ბიუჯეტში ცვლილებებია შესატანი და აუცილებლად უნდა დაემატოს თანხები. გაითვალისწინონ, მასწავლებლები ისე განრისხებულები არიან, რომ მე, პირადად, მთავრობის დამცავი წინადადება რომ ვთქვა ერთი მაინც, ჩემთან მოსული მასწავლებელი ზურგს მაქცევს და მიდის. თუ ტელეფონზე მესაუბრება, მითიშავს, გაგონებაც არ უნდათ არაფრის. საქმე ეხება მასწავლებლებისთვის და-

ხალხი გაზაფხულამდე არ უნდა ალოდინო. პოლიტიკური ნიშნით დევნილები რომ არიან, ეს საკითხი იცით, რატომ იბლოკება? ეგეც თანხებთან არის დაკავშირებული, რადგანაც, ისინი რომ აღადგინონ, განაცდური უნდა მისცენ. „ქართული ოცნების“ პროგრამაში რომ ჩავწერეთ, დახურული სკოლები ეტაპობრივად აღვადგინოთო და ივანიშვილი რომ ამბობდა, სკოლების აღდგენას დავიწყებთო, ის შენობები გაყიდულია და თან სოლიდურ ფასად, ამასაც ხომ ფული უნდა და ეს ფული რომ არ არის, ამიტომ არის ყველაფერი გაჩერებული.

**— გისმენთ და ამას რა ბიუჯეტი ეყოფა?**

– გეუბნებით, არასაჭირო და ფუფუნების ხარჯები შეიკვეცოს და შეიქმნას ფონდი, რეზერვები კი უნდა მოხმარდეს ამას. ჩვენ ვართ ღატაკი ქვეყანა და პატრიარქი სულ ქადაგებს, ნუ შეეჩვევით სიღარიბესო. ამიტომ, ამ ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა შეიძლება განათლებაში ჩადებული ფულით.

დომელი გახდა და ამიტომ შეაქცია მას ზურგი. მე-13 ხელფასი რომ მიეცა თბილისის ბიუჯეტს მასწავლებლებისთვის, რა მოხდებოდა? მერიაში მასწავლებელზე მეტი ხელფასი რომ აქვს კურიერსა და მეეზოვეს, ესაა სამართალი? ამ ახალი ხელისუფლების პირობებში გლდანის სკოლაში რომ ბავშვმა „პასტის“ თავსახური გადაყლაპა და ამის გამო ბავშვი დაიღუპა, რადგან სკოლებში სამედიცინო კაბინეტები გააუქმეს, ეს სწორია? ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია, რომ სამედიცინო შტატი და კაბინეტი აღედგინა სკოლებში და რატომ არ აღადგინა? ამაზე სერგეენკომ წარმოუდგენელი რამ განაცხადა, ამას მანდატურები მიხედავენო. რა მანდატურები? რატომ ვერ უშველა იმ ბავშვს მანდატურმა? იქ რომ ექიმი ყოფილიყო, ხომ არ დაიღუპებოდა ბავშვი? ბევრია პრობლემა და ამას სასწრაფოდ უნდა მიხედვა.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ღარიბაშვილს ტყუილში ადანაშაულებს



გიგი უგულავა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს სიცრუეში ადანაშაულებს. „გული მწყდება, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი არათუ არაკომპეტენტურობას ავლენს ქვეყნის ეკონომიკისა და ზოგადად ქვეყნის მართვის საკითხში, ის უბრალოდ მატყუარაც არის, რომ აღარაფერი ვთქვათ მისი მხრიდან ხუთ წუთში ერთხელ, ბიძინა ივანიშვილის, როგორც მაშველი რგოლის მოხსენიებაზე“, – ნათქვამია გიგი უგულავას მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელიც მის „ფეისბუკის“ გვერდზე გავრცელდა.

უგულავას თქმით, მისი უფლებამოსილების შეჩერებასთან დაკავშირებით, რაზეც ასევე შეშფოთება გამოთქვა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებელმა მაიკლ იენსენმა, პრემიერ-მინისტრმა უბრალოდ იცრუა, როცა თქვა, რომ თითქოს არ ჩარეულა მოსამართლის „პარტიზანული ღამის გადაწყვეტილებაში“.

„სასამართლო პროცესამდე ჩემს მიერ გაკეთებული განცხადება მოწმობს, რომ წინასწარ ცნობილი იყო, თუ რა შედეგი დადგებოდა. მე მივუთითე გვარებიც, თუმცა ცხადია, პროკურატურას არაფერი გამოუძიებია. განმარტება აუცილებლად მივიჩნიე, რადგან პრემიერ-მინისტრი ურცხვად ტყუის, თუმცა ვაღიარებ, რომ იმ აბსურდის კასკადთან შედარებით, რაც შემდეგ მოჰყვა ზემოაღნიშნულ საკითხს, ყოველივე ეს ნამდვილად მეორეხარისხოვანია“, – აცხადებს უგულავა. (ინტერპრესნიუსი)

## „სუროგაციაზე ევროპაშიც ვერ თანხმდებიან“



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილი სუროგაციის საკითხთან დაკავშირებით ატეხილ ხმაურს გამოეხმაურა და განაცხადა: „სუროგაციასთან დაკავშირებით ევროპის წამყვანი ქვეყნებიც ვერ თანხმდებიან, იგივე საფრანგეთში აკრძალულია სუროგაცია. სუროგაციაზე თუ პატრიარქს ჰქონდა მოსაზრება, რა თქმა უნდა, ეს მისი აზრია. ის ჩვენი სულიერი მამაა და აქვს თავისი აზრის გამოხატვის უფლება, როგორც ყველა ადამიანს.

სუროგაციაზე დაობენ და მსჯელობენ ევროპაში ჩემზე კომპეტენტური ადამიანები. მე არ ვარ კომპეტენტური ამ სფეროში და რაშიც არ ვარ კომპეტენტური, იმაზე აზრს ვერ გამოვხატავ მანამ, სანამ არ გავერკვევი“, – დასძინა ღარიბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

„მართლმადიდებელთა კრებულის“ წარმომადგენლები წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილის) ხსნების დღეს ხელოვნების მუზეუმის წინ შეიკრიბნენ და კულტურის სამინისტროს ის პრობლემები შეახსენეს, რაც ხელოვნების მუზეუმთან დაკავშირებით არსებობს. კრებულის ხელმძღვანელი ზაზა ნანობაშვილი ხელოვნების მუზეუმში არსებული სიწმინდეების აღრიცხვა-ინვენტარიზაციას ითხოვს.

თუ რა ხდება მუზეუმებსა და სიწმინდეებთან დაკავშირებით, ამის შესახებ „ალიას“ **ზაზა ნანობაშვილი** ესაუბრა:

– ჩვენ გვქონდა შეხვედრა კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებთან, სადაც ვკითხეთ მათ, თუ არის აღრიცხული ჩვენი სიწმინდეები და ჩვენი საგანძური, თუმცა მათგან ამაზე პასუხი ვერ მივიღეთ. არადა ყოფილა ფაქტები, როცა ცნობილი გამხდარა, იგივე, საფრანგეთში აღმოჩენილი ჩვენი სიწმინდის შესახებ, რომელიც დაიკარგა მუზეუმიდან. ჩვენ ვითხოვთ, რომ ინტერპოლს მიმართოს საქართველოს პროკურატურამ, რათა მოძიებულ იქნას საზღვარგარეთ გატანილი სიწმინდეები. ამას მოვითხოვდით წინა ხელისუფლებისგანაც, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის“ პროკურატურა გვეუბნებოდა, არ გვაქვს სათანადო დოკუმენტაცია, რომ ინტერპოლმა ჩვენი ინტერესები დაიცვასო. ინტერპოლი აქეთ არის დაინტერესებული, მიეხმაროს ქვეყნებს. წინა ხელისუფლების დროსაც და ახლაც ეს უყურადღებობა და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ქართული სიწმინდეების მიმართ გრძელდება და ეს ნიჰილიზმიც ძალიან ხელოვნური მეჩვენება“.

**— ამ ხელისუფლებას პირველად როდის მიმართეთ ამ საკითხზე და რა გიპასუხეს?**

– 2012 წელს მივმართეთ კულტურის სამინისტროს, რომ ეს საკითხი დროულად ყოფილიყო გარკვეული, რადგან წინა მთავრობის უნიათო მდგომარეობა იქნებ გამოსწორებულიყო, ახლაც იგივე ვითარებაა. მე მქონდა შეხვედრა კულტურის სამინისტროში 15 იანვარს და ისეთივე პასუხი გამცეს, რასაც წლების განმავლობაში ვიღებდი, რომ არანაირი ინვენტარიზაცია არ მიმდინარეობს, არც პასპორტიზაცია, არც ინტერპოლში ძიება, რადგან ვერ მოაბეს იმ დოკუმენტაციის შედგენას თავი, რომლის საფუძველზეც დაიწყებს ინტერპოლი ძიებას. ესენი გვეუბნებიან ახლა, ინტერპოლი თუ რაიმე ნივთს იპოვის თვითონ გვიკავშირდებიანო. ეს ხდება შემთხვევით, როდესაც გახდება ცნობილი დაკარგული სიწმინდის ადგილსამყოფელი, მაგრამ, როგორ შეიძლება, ქვეყანა საკუთარი სიწმინდეების დაბრუნებაზე შემთხვევითობას დაელოდოს, რომელიც ან იქნება და ან არა? ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაა და თუ დროზე არ გამოფხიზლდა კულტურის სამინისტროც და პროკურატურაც, შესაძლოა, 300 უნიკალური სიწმინდე საბოლოოდ დავკარგოთ. შეიძლე-



# ხელოვნების მუზეუმიდან 300 სიწმინდე დაიკარგა?



*გაგრძელება მეთორმეტე გვერდზე*

## შეწყალების კომისიამ რეკომენდაცია გასცა



შეწყალების კომისიამ 60-ზე მეტ პატიმარზე შეწყალების რეკომენდაცია გასცა. კომისიის თავმჯდომარის, ალექსანდრე ელისაშვილის განცხადებით, მსჯავრდადებულთა სია პრეზიდენტს უახლოეს მომავალში გადაეგზავნება.

მისი განმარტებით, კომისიის მუშაობა გართულდა, ვინაიდან უპრეცედენტო რაოდენობის განცხადებები მიიღეს. „წინა სხდომისგან განსხვავებით, შინაარსობრივადაც იყო ძალიან მძიმე საქმეები, ამიტომ 250 განცხადებიდან მხოლოდ 60-ზე მეტ საქმეზე გავეცით რეკომენდაცია. პრეზიდენტი შეწყალების აქტს უახლოეს დღეებში მოაწერს ხელს“, – განაცხადა ელისაშვილმა.

შეწყალების კომისია პატიმართა მორიგ შეწყალებას 3 მარტისთვის გეგმავს. როგორც სხდომის შემდეგ სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა განაცხადა, კომისიამ ყველა საქმის ინდივიდუალური გარემოებები გაითვალისწინა, თუმცა რამდენიმე საქმე მარტის სხდომისთვის გადაიდო, რადგან მათზე შეთანხმება ვერ შედგა.

(ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ღარიბაშვილის პრესკონფერენციას აფასებენ




მინისტრთა კაბინეტის წევრები პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის პრესკონფერენციას აფასებენ.

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს თქმით: „ამ პრესკონფერენციის ლაიტმოტივი იყო როგორც ადრე ისე დღეს ორიენტაცია კონკრეტულ საქმეებზე, კონკრეტულ მიღწევებზე და ნაკლებად იყო ზოგადი მსჯელობა. ძირითადი მსჯელობა იყო პრობლემატიკაზე და პასუხები ცალსახად შედეგზე იყო ორიენტირებული“, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

სასჯელაღსრულების მინისტრ სოზარ სუბარის შეფასებით, „ეს არის ტრადიცია, რომელიც დანერგა ბიძინა ივანიშვილმა და ეს არის ტრადიცია, რომელსაც აგრძელებს დღევანდელი პრემიერი და მინისტრთა კაბინეტი მთელი შემადგენლობით“.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით ნარმანიას განცხადებით კი, ჟურნალისტებისგან ძალიან საინტერესო შეკითხვები იყო, რომელსაც ამომწურავი პასუხები გაეცა. ნარმანიას განცხადებით, ის ორი საკითხს გამოყოფდა, პირველი, ეს არის განსაკუთრებული ხაზგასმა ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნდამენტურ რეფორმირებაზე და მეორე – ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან დაკავშირებით.

ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ აღნიშნა, რომ ის მიესალმება ჟურნალისტებთან ასეთ რეჟიმში შეხვედრას. ის მიიჩნევს, რომ ყველა კითხვა იქნა დასმული, რომელიც საზოგადოებაში არსებობს და ყველას ამომწურავი პასუხი გაეცა. (ინტერპრესნიუსი)

## წულუკიანი კომენტარს აკეთებს



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას ერთ-ერთი საქმის მოწმის, გოდერძი ჯოლოხავასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ მას პირადად შეხვდა.

„მე შემიძლია, ვთქვა მხოლოდ ერთი რამ, რომ ძალიან თანავუგრძნობ მოქალაქე ჯოლოხავას, რომელსაც შევხვდი 2013 წლის თებერვალში, როგორც ეს აჩვენა ჩემს მიერ გუშინწინ, უწყების საშვთა ბიუროდან ამოღებულმა მონაცემებმა. მე მას შევხვდი, მასზე იყო დაშვებული საშვი, როგორც ნებისმიერ იმ მოქალაქეზე, რომელსაც მე ვხვდები. პირდაპირ ვიტყვი და მას ნუ ეწყინება, რომ ის შემეცოდა, როცა ვუსმენდი. ბატონი ჯოლოხავა დეტალურად ყვებოდა, როგორ აწამებდნენ ციხეში და აიძულებდნენ, ყოფილიყო აგენტი. მან ისაუბრა ძალიან ბევრ ისეთ ინფორმაციაზეც, რომლის გამჟღავნებაც ჩემი მხრიდან არ იქნება უპრიანი. ამის შემდეგ, გამომდინარე იქიდან, რომ პრაქტიკულად ცახცახებდა და იყო შეშინებული, მან ითხოვა მოწმის პროგრამაში ჩართვა. მაშინვე დავუკავშირდი არჩილ კბილაშვილს და ეს ადამიანი მეორე დღესვე გადავაბარე მთავარ პროკურორსა და მთავარ პროკურატურას, რომელსაც ის დაცვის პროგრამაში უნდა ჩაერთო და თუ საჭიროდ ჩათვლიდა, მოწმედაც დაეკითხა“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

მინისტრის განმარტებით, ამის შემდეგ აბსოლუტურად უცნობია მისთვის, რა საუბარი შედგა ერთი მხრივ ჯოლოხავასა და მეორე მხრივ არჩილ კბილაშვილსა და ლაშა ნაცვლიშვილს შორის.

„თუმცა მე ძალიან ვწუხვარ, რომ, როგორც ჩანს, ეს ადამიანი ვერ იქნა სათანადოდ დაცული. იმედი მაქვს, ამას მთავარი პროკურატურა ახლა გამოასწორებს“, – დასძინა იუსტიციის მინისტრმა.

(ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვაზიანში სამხედრო კურსი მიმდინარეობს



ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე აშშ-ის შეიარაღებული ძალების შესაბამისი სტანდარტის სპეცდანიშნულების კურსი „მწვანე ბერეტი“ მიმდინარეობს.

წვრთნის სახელწოდებაა აერო-მობილური მომზადება და საბრძოლო სროლებით პირობითი მოწინააღმდეგეებისგან ბუნკერების წმენდა. სხვადასხვა ქვედანაყოფიდან შერჩეულმა სამხედრო მოსამსახურეებმა ვერტმფრენიდან დესანტირების შემდეგ ქვეითთა საბრძოლო ვარჯიშები შეასრულეს. სწავლებაში 44 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. მომზადება სპეცდანიშნულების კურსის პირველი ეტაპის ფარგლებში ხორციელდება და მცირე ქვედანაყოფის ტაქტიკის შესწავლას გულისხმობს.

„ჩვენ მიზანმიმართულად ვავითარებთ სპეციალური ოპერაციების ძალებს. უკვე რამდენიმე თვეა წვრთნები მიმდინარეობს. იმ ბიჭების 90 პროცენტს, რომლებიც სწავლებაში მონაწილეობენ, ავღანეთი აქვთ გამოვლილი, ანუ მათ აქვთ საბრძოლო გამოცდილება. მათ ძალიან დიდი, მძიმე გამოცდების ჩაბარება მოუწიათ, რომ ამ ეტაპამდე მოსულიყვნენ. დაახლოებით 800 მსურველიდან 44 არის დღემდე შემორჩენილი. იმიტომ, რომ ძალიან მაღალი მოთხოვნების წვრთნებს ვატარებთ და სწორედ ასეთი გამორჩეული ბიჭები იქნებიან ჩვენი სპეციალური ოპერაციების ძალების ელიტურ ქვედანაყოფებში“, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

*მეთერთმეტე გვერდიდან*

ბა ეს ერთი წელიწადი ვერ მოიცალეს ამ ყველაფრისთვის, გვესმის, რომ ბევრი საქმე ჰქონდათ, მაგრამ ახლა მაინც ხომ უნდა მიაქციონ ამ ყველაფერს ყურადღება?

**— გვახსოვს ფაქტი, როდესაც ხელოვნების მუზეუმიდან გატანილი აღმოჩნდა ნიკო ფიროსმანის ნახატი, რომელიც ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს საკუთარ რეზიდენციაში ჰქონდა. გაქვთ ინფორმაცია მსგავსი ფაქტების შესახებ?**

– ექვთიმე თაყაიშვილი ჯერ კიდევ 1937 წელს გვეუბნებოდა, რომ ჩინოვნიკების ხელით გამოდის სიწმინდეები მუზეუმიდან. გარდა ამისა, მუზეუმში სიწმინდეები იმდენად დაცულია, რომ ჯერ იქიდან მისი გამოტანაა რთული და საზღვარზე გადატანა – თითქმის შეუძლებელი, თუ ამაში არ ურევია მაღალი თანამდებობის პირის ხელი. ხელს, რა თქმა უნდა, ვერავის დავადებთ, მაგრამ ფაქტია, რომ სიწმინდეები დაკარგულია და ისიც ფაქტია, რომ რიგითი ადამიანებისთვის შეუძლებელია ხელოვნების ნიმუშების გატანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. დაიწყონ ძიება და დაადგინონ, როგორ მოხდა ეს ყველაფერი.

გახსოვთ, ალბათ, სააკაშვილმა პატარა ჯიბის სახარება რომ აჩუქა ხელოვნების მუზეუმს. ეს გააკეთა თითქოს იმის საფასურად, რომ აი, ამდენი სიწმინდე დავკარგეთ და საკუთარი ქონებიდან ხარკი გავიღეო, ეს არის მოჩვენებითი და შოუს ნაწილი. ეს იყო სპექტაკლი და მცდელობა იმ ავი საქმისა, რასაც აკეთებდნენ ხელოვნების მუზეუმში. ვერავის დავადანაშაულებ ღიად, მაგრამ როდესაც დაიწყება გამოძიება, მკვეთრად გამოჩნდება, ვისი ხელშეწყობით ხდებოდა ეს ყველაფერი. ეჭვი, რა თქმა უნდა, არის და თან საფუძვლიანი, მაგრამ გამოძიების დასრულებამდე კონკრეტულად ვერ ვისაუბრებ.

**— „ალია“ წერდა იმის შესახებაც, რომ წინა ხელისუფლების დროს ერთგვარი სქემები იყო შემუშავებული, რომლის მიხედვითაც სიწმინდეები ქვეყნიდან დიპლომატიური არხების საშუალებით გადიოდა, რადგან დიპლომატიური ტვირთი არ მოწმდება. თქვენ იცით რამე ამის შესახებ?**

– რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან საფუძვლიანი ეჭვი და არ არის გამორიცხული, სწორედ ამ გზით მომხდარიყო სიწმინდეების გატანა ქვეყნიდან. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ საჭიროა ამ ყველაფერზე დაიწყოს გამოძიება. თუკი საიდანმე ფულის წყარო მოვითხოვთ, დაიწყოს ინვენტარიზაცია და აღწერა იმ სიწმინდეებისა, რაც არის მუზეუმში, რადგან დაინტერესებული მხარე ამ შემთხვევაში არის



# ხელოვნების მუზეუმიდან 300 სიწმინდე დაიკარგა?

იყო, დაწყებული შენობებიდან, მიწებით დამთავრებული, ყველაფერი გაყიდა წინა ხელისუფლებამ, ამის ფონზე რთულია, იფიქრო, რომ ნამუსი ეყოთ და სიწმინდეებს ხელი არ მოჰკიდეს. ჩვენი მხრიდან ამის ფიქრი მიამიტობა იქნება. ეს ყველაფერი ცილისწამებაში რომ არ ჩაგვეთვალოს, უნდა დაიწყოს ძიება, მაგრამ საქმეც ის არის, რომ პროკურატურა არ იძიებს ამას.

**— ბოლოს როდის მიმართეთ პროკურატურას გამოძიების დაწყების თხოვნით?**

– პროკურატურაში საქმეები დევს ამის შესახებ, უბრალოდ, არ იწყებენ ძიებას. მაშინ გამოდის, საჩივარი უნდა შევიტანოთ და ჩვენი საჩივრის საფუძველზე დაიწყოს მოკვლევა. ამჟამად კულტურის სამინისტროს მივმართავთ, რომ მოსთხოვოს პროკურატურას, დაიწყონ მოკვლევა დაკარგულ 300 სიწმინდეზე.

გარდა ამისა, კულტურის სამინისტროსგან კულტურის სამინისტრო.

როდის დაიწყებს კულტურის სამინისტრო ხელოვნების მუზეუმში დაცული სიწმინდეების აღწერას და მიმართავს თუ არა პროკურატურას ხელოვნებს მუზეუმიდან დაკარგულ სიწმინდეებთან დაკავშირებით საქმეში ჩართონ ინტერპოლი?

„ალიას“ ამ კითხვაზე სურდა პასუხის მიღება, თუმცა კულტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, ირმა ცქიტიშვილმა „ალიას“ სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

ჩვენს სატელეფონო ზარებსა და მოკლე ტექსტურ შეტყობინებას არ უპასუხა კულტურის მინისტრის მოადგილემ მარინა მიზანდარმაც. არა და საინტერესო იქნებოდა იმის გაგება, რატომ აჭიანურებენ ფასდაუდებელი სიწმინდეების აღწერას.

»» შორენა გოგოლაძე
599 27 75 27



„გახსოვთ, ალბათ, სააკაშვილმა პატარა ჯიბის სახარება რომ აჩუქა ხელოვნების მუზეუმს. ეს გააკეთა თითქოს იმის საფასურად, რომ აი, ამდენი სიწმინდე დავკარგეთ და საკუთარი ქონებიდან ხარკი გავიღეო, ეს არის მოჩვენებითი და შოუს ნაწილი“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბარამიძე პრემიერს საყვედურობს



„ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოპოზიციასთან დამოკიდებულებას ინფანტილურს უწოდებს. მისი თქმით, პრემიერის გამართული პრესკონფერენცია, იყო გაგრძელება იმ პოლიტიკისა, რომელიც ეფუძნება დიდ ტყუილს:

„თითქოს პრემიერმა არ იცის, ვინ არის მისი მთავრობის ოპოზიცია. ეს მიუთითებს მის არასერიოზულობასა და ინფანტილიზმზე. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ განვითარებულ დემოკრატიებში მთავრობას უყვარს მისი ოპოზიცია, მაგრამ, ვფიქრობ, იმდენი ტვინი ყველას ჰყოფნის, რომ თავისი ოპონენტის მიმართ მოიქცეს სერიოზულად“, – განაცხადა ბარამიძემ.

ბარამიძემ განცხადება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ საფრანგეთის მთავრობისთვის მიწერილ წერილზეც გააკეთა. „მიხეილ სააკაშვილმა ოფიციალურად მისწერა საფრანგეთის მთავრობას იმის თაობაზე, რომ კეზერაშვილის დაპატიმრება არის ნაწილი იმ კამპანიისა, რომელსაც მთავრობა გაცხადებულად ახორციელებს თავისი ოპონენტების მიმართ. არავისთვის არ არის დამალული, რომ კეზერაშვილი არის ჩვენი პარტიის მხარდამჭერი და ერთ-ერთი კონტრიბუტორი, მათ შორის, ფინანსური თვალსაზრისით“, – განაცხადა ბარამიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ბუკიკიოს პრობლემები გააცნეს



„ნაცმოძრაობის“ წევრები ვენეციის კომისიის თავმჯდომარეს შეხვდნენ.

„ჩვენ ვისაუბრეთ, თუ რა უშლის ხელს ამა თუ იმ ინსტიტუციის გაძლიერებას ქვეყანაში. მაგალითად, თვითმმართველობებთან მიმართებაში კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერი არის კარგი, მაგრამ საგანგაშოა ის ვითარება, რაც ადგილობრივ თვითმმართველობებში, არჩევნების შემდეგ შეიქმნა. „ქართული ოცნების“ ცენტრალური ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ყველგან დაიწყეს მიტინგების ჩატარება, რომ ყველა საკრებულოში „ქართული ოცნება“ მოსულიყო. ეს არის თვითმმართველობების პრობლემა და არა ის, თუ რა წერია კონსტიტუციაში“, – განაცხადა პავლე კუბლაშვილმა.

მისივე თქმით, ყურადღება გამახვილდა პროკურატურაში მიმდინარე მოვლენებზეც:

„ნათლად გამოჩნდა, რომ პროკურატურაში სერიოზული პრობლემებია, რაც მხოლოდ ფარცხალაძის პერსონას არ უკავშირდება. ეს უკავშირდება იმას, რომ პროკურატურაზე საპარლამენტო კონტროლი აღარ არსებობს, ამიტომ ჩვენი მიზანია, რომ საპარლამენტო კონტროლის ელემენტი პროკურატურაზე შემოღებული იყოს“, – აღნიშნა კუბლაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

# კარგად ზის, კარგად იჯდება და... იჯდეი რაო!!!



დღის ალიაქოთი

სამოქალაქო სექტორში წასული ბიძინა ივანიშვილი ჯერ არც სექტორში ჩანს, არც მის გარეთ, არც პოლიტიკაში და საერთოდ, ეს კაცი ისევე გაქრა, როგორც მანამდე იყო გამქრალი, სანამ პოლიტიკაში გამოჩნდებოდა. ამის მიუხედავად, მისი აჩრდილი ქართულ პოლიტიკას არ შორდება და გუშინ ირაკლი ღარიბაშვილისა და ჟურნალისტების შეხვედრაზე გამოჩნდა. თუ გახსოვთ, ერთ-ერთი, იმ ცნობილ ანეკდოტთაგან, რომელიც ივანიშვილმა თავის დროზე მოყვა, ასეთი იყო: „მიხო, შენი საკითხი სხდომაზე უნდა დავსვათო... დასვამთ და, იჯდეი რაო"...

ჰოდა, როცა გუშინ ღარიბაშვილს ივანე მერაბიშვილზე ჰკითხეს, მანაც პირდაპირ განაცხადა – „მერაბიშვილი ძალიან კარგად ზის და კარგად იჯდება"... თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე მშვენივრად გავიგონე, როგორ გაისმა დარბაზში ივანიშვილის ხმა – „იჯდეი რაო"... ხუმრობა იქით იყოს და, ღარიბაშვილის განცხადებამ ზურაბ ჭიაბერაშვილი დააფრთხო. ის ამ საქმეში ვანოს „პადელნიკია" და თუ ვანო უნდა „იჯდეი რაო", მაშინ არც ჭიას დაადგება კაი დღე და მასაც „შეიყვანენ ბუტკაში". სავარაუდოდ, „ბუტკის" შიშით განაცხადა ჭიაბერაშვილმა, ეს რას ჰგავს, ღარიბაშვილმა პირდაპირ განაჩენი გამოგვიცხადაო და... კაცო, მაგან განაჩენი მაინც გამოაცხადა, თქვენ არ იყავით, განაჩენი გამოუცხადებლად რომ მოგყავდათ სისრულეში?!

ხომ ვამბობდი, სააკაშვილი ამერიკასა და ევროპაში ლექციების წასაკითხად არ დადის და ხელისუფლებაში დაბრუნების გზებს ეძებსმეთქი? აქ ისე ჩანს, თითქოს „ნაციონალური მოძრაობა" განთავისუფლდა მიშასგან, მაგრამ ყველაფერს ნათელი მოეფინა. სააკაშვილმა საფრანგეთის ხელისუფლებასა და სასამართლოს მიმართა, ეგ ბიჭი გაათავისუფლეთ, რადგან ჩვენი პარტიის მთავარი დამფინანსებელია და მისი დაჭერით ფინანსების გარეშე ვრჩებითო. პარალელურად, თითქმის იგივე შინაარსის განცხადება საქართველოდან საპარლამენტო უმცირესობამ აფრინა (სწორედაც რომ აფრინა, რადგან ამბობენ, ჩიორამ წაიღოო), არიქა, ფულის გარეშე ვრჩებითო და ახლა სასამართლოზეა დამოკიდებული, ქართველი ხალხის ფულით გამდიდრებულ „კეზერას" გაუშვებს თუ საქართველოსკენ გამოუშვებს. კეზერაშვილის სასამართლოს საფრანგეთში თამარ ჩერგოლეიშვილიც დაესწრო. როგორი საქმეა, „კეზერა" თურმე ჟურნალ „ტაბულასა" და ჩერგოლეიშვილ-ბენდუქიძის ტელევიზიასაც აფინანსებდა და ახლა თუ ეს „კანალი" გადაიკეტა, გიგა ბოკერიას ცოლს უსამსახუროდ დარჩენა მოუწევს...

ღარიბაშვილს ისიც შეახსენეს, რომ ნოდარ ხადურმა რესტორანში 4 ათასი ლარი დახარჯა და საფრანგეთის დელეგაციასთან ერთად, კაი პური ჭამა. გაგიჟდა ღარიბაშვილი, აბა როგორ გინდათ, დელეგაცია რომ ჩამოდის, ვახშამი არ უნდა ვაჭამოთო?





ბატონო ირაკლი, როგორ არ უნდა ვაჭამოთ, მაგრამ საქართველოში დღეში, საერთო ჯამში, მინიმუმ 5 დელეგაცია ჩამოდის და თითოს რომ 4-ათასლარიანი პურმარილი გავუშალოთ, დღეში 20 ათასი ლარი გამოდის, წლიურად კი 7 მილიონზე მეტი და ცოტა უხერხული ხომ არ არის, ქვეყანაში, სადაც ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ქეიფში ასეთი თანხები იხარჯებოდეს. სხვას კი არაფერს ვედავებოდით წინა ხელისუფლებას, სუშითა და თინუსის კუდებით რომ იყორავდნენ მუცლებს.

თბილისის საკრებულოში ისევ არეულობაა. უმცირესობაში დარჩენილი „ნაციონალები" იმუქრებიან, თუ ბიუჯეტი არ დამტკიცდება, მალე დედაქალაქში შუქნიშნებიც გაითიშება და ნაგვის გატანასაც ველარ შევძლებთო. ჩვენ თუ გვკითხავთ, ნაგავი დიდი ხანია მარტო თბილისიდან კი არა, მთელი ქვეყნიდან არის გასატანი და ახალი ხელისუფლება თავს ვერ აბამს, ხოლო შუქნიშნები ქართველი მძღოლებისთვის მხოლოდ ქალაქის გასალამაზებლად მოციმციმე აქსესუარებია და მათ ჯარიმის შიშით ემორჩილებიან, თორემ ისე ქართულ გზებზე ერთადერთი საგზაო წესი მოქმედებს – ის, რომ წესი არ არსებობს.

კახა კალაძე „ენერგო-პროს" წარმომადგენლებს შეხვდა და სულ პრო... უძახა. რა უბედურებაა, სხვა ქვეყანაში არ არის ქარი და წვიმა, აქ რომ ყოველთვის შუქი მიდისო, გაიოცა კახამ და მართლაც, რამდენჯერაც ქარი ამოვარდება ან წვიმა წამოვა, შუქი ითიშება და „ენერგო-პრო" კიდევ ამბობს, ჩვენ რა შუაში ვართო. გვარიანი მიჯირყვნის შემდეგ, კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მაქსიმუმს ვიზამთ, მეორე შეხვედრაზე კალაძე ასე გაბრაზებული რომ არ იყოსო.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სოფელ კუმისში არალეგალური სასაკლაო აღმოაჩინა. მთელ ტერიტორიაზე ცხოველების ჩონჩხები იყო მიმოფანტული და მათ შორის ცხენის და ვირის ჩონჩხიც, ანუ შეიძლება არ ვიცით, ისე გვაქვს შეხრამუნებული ვირისა და ცხენის ხორცი. მე უფრო ის მიკვირს, ამაზე რომ დიდი ხმაური ატყდა. არალეგალურს ვინ ჩივის, მთელი 9 წელი „ნაციონალურ მოძრაობას" ადამიანების 19 ოფიციალური სასაკლაო ჰქონდა (ზუსტად ამდენი დაწესებულებაა სასჯელაღსრულებით სისტემაში) და პასუხს არავინ სთხოვს.

წლის „ჩმორად" შერაცხული გიორგი ბარამიძე ისევ გამოჩნდა და საინტერესო განცხადება გააკეთა. მისი თქმით, დემოკრატიულ ქვეყნებში მთავრობას მისი ოპოზიცია უყვარს და ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ საქართველოში დემოკრატია არ არის. როგორი არგუმენტია? უფრო ზუსტად, როგორი შესაყვარებლები არიან ჩიორა თაქთაქიშვილი, აკო მინაშვილი, გოკა, ნუგზარი, პალიკო, მარიამ საჯაია, თინათინ ბოკუჩავა... არა, ამათი შეყვარება კი შეიძლება ხანდახან, მაგრამ...

ახლა უნდა გია ბარამიძეს დაგვაჯეროს, რომ მაშინ, როცა ხელისუფლებაში თავად იყვნენ, ოპოზიცია უყვარდათ, ვერ ვატყობდი მე მაგათ სიყვარულს და თუ გამოხატვის ფორმა ისეთი იყო, როგორიც 7 ნოემბერსა და 26 მაისს ვნახეთ, მაშინ იგივენაირად „ჩახუტებას" სოსო ჯაჭვლიანიც აპირებდა და მიეშვათ გიამდე. პრინციპში, მაშინ კი იყვნენ ჩახუტებულები გიორგი თარგამაძე, გურამ ჩახვაძე, პაატა დავითაია და „ნაციონალები", მაგრამ, მგონი, ამის გამოა, პოლიტიკური რუკიდან ნელნელა რომ ქრებიან...

**P.S. უკრაინის რადაში ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ტრიბუნის ბლოკადა ისევ მოახდინეს და ხელისუფლების წარმომადგენლებს განცხადების გაკეთების უფლება არ მისცეს. დავით უსუფაშვილის უკრაინელი კოლეგა მთელი ხმით ყვიროდა — რადა! რადა! რადა! მაგრამ უსმენდა ვინმე?**

»» ლევან ღვინიაშვილი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ღარიბაშვილმა მერაბიშვილის განაჩენი გამოაცხადაო...



ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავისი განცხადებით ვანო მერაბიშვილის განაჩენი გამოაცხადა.

„ვანო მერაბიშვილთან ერთად ბრალი ერთ საქმეზე მაქვს წაყენებული. მინდა საზოგადოებას ვკითხო, რა განცდა უნდა მქონდეს, ან უნდა მქონდეს თუ არა იმედი იმისა, რომ ამ ქვეყანაში უდანაშაულობის პრეზუმფცია არსებობს. ვკითხულობ, რა განაჩენს უნდა ველოდო ამ განცხადების შემდეგ ქუთაისის სასამართლოში. პასუხი მარტივია – ამ ქვეყანაში პოლიტიკური დევნა გრძელდება", – განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ „არავის სჭირდება მერაბიშვილის გატაცება, ის ძალიან კარგად ზის და კარგად იჯდება". (ინტერპრესნიუსი)

## 1174 მუსლიმან მესხს სტატუსი აქვს




დევნილთა მინისტრის დავით დარახველიძის განცხადებით, რეპატრიანტის სტატუსი უკვე 1174 მუსლიმან მესხს აქვს მინიჭებული, აღნიშნულიდან 7-მა უკვე მიიღო საქართველოს მოქალაქეობა და ისინი საქართველოში ცხოვრობენ.

„დანარჩენ მუსლიმანებსაც, რომლებიც დაახლოებით 300 ოჯახს წარმოადგენენ, შეუძლიათ, საქართველოში ნებისმიერ კუთხეში შეიძინონ უძრავი ქონება, ჩამოვიდნენ, იცხოვრონ. საქართველოს ხელისუფლება ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში", – განაცხადა დარახველიძემ.

მინისტრის თქმით, ფინანსური ვალდებულება საქართველოს არც მათი და არც ევროსაბჭოს წინაშე არ აუღია.

„მუსლიმან მესხებთან დაკავშირებით საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულება წარმატებით მიმდინარეობს", – დასძინა მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

## ვიღაცას ტყუილი ხმაურის დაწყება ნდომებია



სასჯელაღსრულების მინისტრის სოზარ სუბარის განცხადებით, ვიღაცას ძალიან უნდოდა, რომ ვანო მერაბიშვილის საქმეზე ტყუილი ხმაური დაწყებულიყო.

„იმას, ვისაც უნდოდა, ტყუილი ხმაური დაწყებულიყო, იმას ერთი პასუხი დააკმაყოფილებდა, რომ ეს ადამიანი ციხიდან იყო გაყვანილი. რაც არ მოხდა, იმას, ბუნებრივია, ჩვენ ვერ ვიტყოდით. შესაბამისად, გაკეთდა ის განცხადება, რაც ფაქტებით დადასტურდა. ძალიან დიდი დრო წაიღო ამ ვიდეოკადრების ამოღებამ, რომ დაგვენახა რაიმე მანქანა, რომელიც შესაძლოა სასჯელაღსრულებას ან პროკურატურას ეკუთვნოდა, იმ კონკრეტულ საათებში გაიარა თუ არა. არც ერთი მსგავსი რამ არ დაფიქსირებულა", – განაცხადა სუბარმა. (ინტერპრესნიუსი)

## გოგონამ პოლიციაში იჩივლა, — სექსის დროს დედაჩემი ძალიან ხმაურიანიაო



არა, სექსი ისეთი ოხერი რამეა, თუ ეყვირება, კი უნდა იყვიროს, ქალი იქნება თუ კაცი, ვინ უშლის, მაგრამ შვილი რომ უწევს გვერდზე ოთახში, ხომ შეიძლება, ცოტა მოგუდულად ივიშვიშოს?!

ეს საოცარი და ტრაგიკომიკური შემთხვევა ამერიკაში, კერძოდ კი ფლორიდის შტატში დაფიქსირდა: 15 წლის გოგონამ პოლიციაში დარეკა და მორიგეს სთხოვა, რომელიმე თავშესაფარში გადაეყვანათ, რადგან „ესმოდა, როგორ ხმამაღლა ყვიროდა დედა სექსის დროს“ და რომ „35 წლის დედის მიმართ ძალიან დიდი უპატივცემულობა იგრძნო“.

პოლიციამ გოგონას ოჯახში არსებული სიტუაციის შესახებაც ჰკითხა, თუმცა მან განმარტა, რომ, სხვა მხრივ, ყველაფერი წესრიგში იყო და არავითარ ძალადობას ადგილი არ აქვს.

საბოლოო ჯამში, ადგილზე პოლიცია მაინც მივიდა და დედისგან პასუხად მიიღო, რომ „სახლში საყვარელი მოვიყვანე, რას შემიყარეთ სოფელ-ქვეყანაო?!“

საბოლოო ჯამში, ეს ინციდენტიც ვინმეს დაპატიმრების გარეშე ამოიწურა, მოზარდმა კი გადაწყვიტა, თავშესაფარში ცხოვრებას ჯობია, ისევ ხმაურიან დედასთან დავრჩეო...

*etotupo.ru*

## ძველბერძნულ ენაში არ არსებობდა სიტყვა „ცისფერი“, ცას კი „ბრინჯაოსფერს“ უწოდებდნენ



უცნაურია, მაგრამ ძველი ბერძნები ცას „ბრინჯაოსფერს“ უწოდებდნენ. რატომ და იმიტომ, რომ მათ ლექსიკონში არ არსებობდა სიტყვა „ცისფერი“. გარდა ამისა, ცისფერთან ახლოს მყოფი სიტყვები უფრო აღწერდა ფერების ინტენსივობას და არა თავად ფერს.

აქედან გამომდინარე, როცა ბერძნები ცაზე, როგორც ბრინჯაოზე, ისე საუბრობდნენ, მხედველობაში ის ჰქონდათ, რომ ცა დამაბრმავებლად ნათელია, როგორც ბრინჯაოს ფარი და არა როგორც ბრინჯაოს ფერი.

სპეციალისტების თქმით, ძველი ბერძნები საგნების აღწერისას მათ სულ სხვა ნიშნებს ითვალისწინებდნენ. ამიტომ, როცა გამოიყენება რომელიმე სიტყვა, რომელიც ჩვენებურად „ყვითელს“ ან „ღია მწვანეს“ ნიშნავს, რეალურად საუბარია სითხეზე, რაღაც ცოცხალსა და ახალზე. ამასთანავე, ასეთი სიტყვებით ხდებოდა აღწერა, მაგალითად, ყვავილების, სისხლის, ზღვის, ცხვრის და ასე შემდეგ...

*slon.gr*

## მეცნიერებმა რობოტებს ერთმანეთის მოტყუება ასწავლეს



ჰო, ადამიანს ხომ ხატავს და ალამაზებს აფერისტობა და ახლა რობოტებსაც ასწავლეს მამაძაღლობები ჯორჯიას შტატის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტებმა.

საუბარია ე.წ. ცრუ ქცევებზე, რომლებიც დაფუძნებულია ყურადღების გაფანტვის მეთოდებზე.

უნდა ითქვას, რომ სიცრუის ხელოვნება უკვე დიდი ხანია, რაც განიხილება, როგორც საომარი ტაქტიკა, განსაკუთრებით ბრძოლის ველზე. გარდა ამისა, ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტი რობოტი იძენს სამხედრო დანიშნულებას, რაც თავისთავად, იმას ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგისთვის ყურადღების გაფანტვა მათაც უნდა შეეძლოთ.

პროფესორი რონალდ არკინი განმარტავს, რომ რობოტებისთვის შერჩეული სიცრუის მეთოდი კოლეგებთან ერთად, ციყვებისგან ისესხა.

მისი განმარტებით, ციყვები დიდი წარმატებით ახერხებენ თავიანთი მარაგის დაცვას მტრებისგან. საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში, ისინი ისე იქცევიან, თითქოს მარაგები სხვა ადგილას აქვთ დამალული და საკვების შენახვის რეალური ადგილიდან თავდამსხმელს ოსტატურად იტყუებენ. მათი ქცევების მოდელირების გამოყენებით, ამერიკელ სპეციალისტებს სურთ, რობოტებმა იარაღის საწყობების ან სხვა საჭირო ნივთების დაცვა შეძლონ. კერძოდ, მტრის აღმოჩენის შემთხვევაში, რობოტი პატრულირების სტრატეგიას შეიცვლის, რაც ადამიანს ან სხვა ინტელექტუალურ მანქანას შეცდომაში შეიყვანს და დამხმარე რაზმის გამოჩენამდე დროს გაწელავს.

*itword.org*

## გადაჭარბებული შრომა... ალკოჰოლიზმით მთავრდება?



არ მუშაობ და უქნარას გეძახიან, უმაქნისს და დონდლოს, იმუშავებ, წელებზე ფეხს დაიდგამ და ახლა იმას მოგაძახებენ – ბევრმა შრომამ ვირი მოკლაო... კაცო, ვირს ვინ დაეძებს, შეიძლება გადაჭარბებული შრომა გალოთებად დაგვიჯდეს და რასაც უშვრება ხოლმე ალკოჰოლიზმი ჯანმრთელობას, ყურმოკვრით მაინც ხომ ვიცით, არა?!

კი, უნდა ვიმუშაოთ, ამაზე არავინ დაობს, მაგრამ სხვა საკითხია – რამდენად ღრმად უნდა გადავეშვათ თავით სამუშაოში. ექსპერტები ამბობენ, რომ ის, ვინც ზედმეტად ბევრს შრომობს, ბევრად მეტადაა მიდრეკილი სპირტიანი სასმელებისკენ, ვიდრე დანარჩენები. ასევე, ბევრად სწრაფად განიცდის დეგრადირებას და სულ მალე ტიპურ ალკოჰოლიკად ყალიბდება.

ჩატარდა ექსპერიმენტიც, რომელმაც მეცნიერებს იმის თქმის საშუალება მისცა, რომ მათში, ვინც კვირაში 50 საათზე მეტხანს მუშაობს, გალოთების რისკი 3,3-ჯერ მაღალია.

რადგან ალკოჰოლიზმზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, აქვე კიდევ ერთ სიახლესაც გაგაცნობთ, ოღონდაც, ბევრად უფრო დადებითს.

ცნობილი ხდება, რომ ბრიტანელმა მეცნიერებმა კომპიუტერული პროგრამა შექმნეს, რომელიც ადამიანს ალკოჰოლიზმისგან თავის დაღწევაში დაეხმარება. ყოველ შემთხვევაში, სპირტიანი სასმელების მიღების მასშტაბების შემცირებაში უეჭველად დაეხმარება.

პროგრამის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კომპიუტერის ეკრანზე სხვადასხვა სასმელის გამოჩენისას, ადამიანმა თითი შესაბამის ღილაკს უნდა დააჭიროს. ამასთანავე, მან თამაში უნდა შეწყვიტოს, როცა გარკვეულ სიგნალს გაიგებს.

აღმოჩნდა, რომ ამ თამაშის დროს ადამიანები გაცილებით ნაკლები რაოდენობით ლუდს ღებულობდნენ, თუკი ეკრანზე ალკოჰოლი ჩნდებოდა და ზუსტად ამ დროს პროგრამა დავალების შესრულების შეწყვეტასაც მოითხოვდა.

ჯერჯერობით პროგრამის შემოწმება არ დასრულებულა. სავარაუდოდ, როცა ყველაფერი დასრულდება, მას იმ პაციენტების მკურნალობისთვის გამოიყენებენ, რომლებიც ალკოჰოლიზმთან გამკლავებას ცდილობენ.

*24inews.ru; myjane.ru*

## არომათერაპია, რომელიც საათზე მეტხანს გრძელდება, გულს აზიანებს



ტაივანელმა სპეციალისტებმა ცნობილი სიბრძნე დაადასტურეს: ყველაფერი დადებითია მხოლოდ ზომიერების ფარგლებში. მათი თქმით, არომათერაპია სასარგებლოა გულისთვის, თუკი ეთერზეთების ორთქლს ადამიანი მაქსიმუმ 1 საათის მანძილზე ისუნთქავს. ის, ვინც ამ წესს დაარღვევს, სამწუხაროდ, გულს დაიზიანებს.

მეცნიერებმა 100 მოხალისეს მდგომარეობა შეისწავლეს, რომლებიც ექსპერიმენტის ხათრით, არომათერაპიას 2 საათის მანძილზე იტარებდნენ. მთელი პროცედურის მანძილზე მედიკოსები მათ არტერიულ წნევასა და გულის შეკუმშვის სიხშირეს აკვირდებოდნენ. ასევე ფიქსირდებოდა შენობაში მფრინავი ორგანული ნაერთების დონე.

პირველი საათის განმავლობაში როგორც წნევა, ისე გულისცემის სიხშირე, შემცირდა. 120 წუთის გასვლის შემდეგ კი საწინააღმდეგო ეფექტი გაჩნდა – წნევამ მკვეთრად მოიმატა, გახშირდა გულის შეკუმშვის სიხშირეც.

ეს ყველაფერი იმის დამამტკიცებელია, რომ მიუხედავად არომათერაპიის ძალიან ბევრი სასარგებლო შედეგისა, გადამეტება გულს სერიოზულ პრობლემებს უქმნის. ჰოდა, ყურადღებით იყავით!..

*novoteka.ru*

## კარიესისგან... მზე გადაგვარჩენს?



ოჰ, კაი დროს მოგვაწოდეს ეს ინფორმაცია მეცნიერებმა! აბა, სად ვეძებოთ მზე შუა ზამთარში? თუმცა ეგ არაფერი, უკან მოხედვასაც ვერ მოვასწრებთ, ისე დადგება ნანატრი ზაფხულიც.

იმისთვის, რათა ბავშვები კარიესისგან დავიცვათ, ვაშინგტონის უნივერსიტეტის სპეციალისტები გვირჩევენ, ხშირად ვასეირნოთ ისინი მზეზე. მათი განმარტებით, დე ვიტამინი კარიესის გაჩენის რისკს მთელი 50 პროცენტით ამცირებს.

უკვე ძალიან ბევრჯერ დამტკიცდა, რომ დე ვიტამინი ძვლების გამაგრებაში გვეხმარება, თუმცა კარიესთან დაკავშირებით სპეციალისტთა მოსაზრებები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ბოლოს და ბოლოს ამერიკაში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრიაში, შვედეთსა და ახალ ზელანდიაში ჩატარებულმა კლინიკურმა კვლევებმა საკითხს ნათელი მოჰფინა.

– დე ვიტამინი კბილების მინერალიზაციას აუმჯობესებს და ბავშვებს აღნიშნული ვიტამინის დანაკლისით, კარიესი ბევრად ხშირად უჩნდებათ, – ასეთია საბოლოო დასკვნა.

*myjane.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# დიდი ადამიანების უკანასკნელი სიტყვები



– ყველაზე იდუმალებით მოცული ინგლისის მეფე ჰენრი VIII აღმოჩნდა. ერთადერთი, რაც მან სიკვდილის წინ თქვა, ეს იყო: „ბერ-მონაზვნები!“.. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მას ჰალუცინაციები ტანჯავდა, თუმცა ყოველი შემთხვევისთვის, მისმა მემკვიდრეებმა ყველა ხელმისაწვდომი მონასტერი ააწიოკეს, რადგან ეჭვობდნენ, რომ მონარქი სასულიერო პირებმა მოწამლეს.

– მესამე რაიხის ერთ-ერთმა მთავარმა პოლიტიკურმა და სამხედრო მოღვაწემ ჰაინრიხ ჰიმლერმა სიკვდილის წინ თქვა: „მე ჰაინრიხ ჰიმლერი ვარ“, თუმცა იმ დროს, ალბათ, არავინ იყო, ვინც მას არ იცნობდა. როგორც ამბობენ, ბრიტანელი სამხედროების გარემოცვაში რაიხსფიურერს რაღაცის თქმა სურდა, თუმცა საწამლავმა ძალიან სწრაფად იმოქმედა...

– მარია ანტუანეტამ, რომელიც მხოლოდ იმის გამო დასაჯეს სიკვდილით, რომ დედოფალი იყო, გილიოტინასთან გაიღიმა და ჯალათს მიმართა: „მაპატიეთ, სერ, ძალით არ მინდოდა!“. სამწუხაროდ, ჯალათი რევოლუციურად განწყობილი აღმოჩნდა და არ აპატია.

– კარლ მარქსმა ყველას ოთახიდან გასვლა უბრძანა.



– იმანუელ კანტმა გახარებულმა შესძახა: „საკმარისია!“ და ალბათ, ეს ყველაზე საუკეთესო უკანასკნელი სიტყვაა.

– ევრიპიდემ, რომელიც როგორც ამბობენ, ძალიან იყო შეშინებული სიკვდილის მოახლოების გამო და ჰკითხეს, რისი შიში შეიძლებოდა ჰქონოდა ასეთ დიდ ფილოსოფოსს, უპასუხა: „იმის, რომ არაფერი ვიცი“...



– დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის მეფე ჯორჯ V-მ, რომელიც 1936 წელს გარდაიცვალა, უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და ერთ-ერთი მინისტრის საქმიანობა საშინლად უწმაწური სიტყვებით დაასახელა. საბედნიეროდ, მინისტრი იმ დროს ოთახში არ იყო და სამეფო ოჯახის ღირსება არ შელახულა.

– რუსეთის იმპერატორმა ელისაბედ I-მა უსაზღვროდ გააკვირვა ექიმები, როცა გარდაცვალებამდე სულ ნახევარი წუთით ადრე საწოლიდან წამოიწია და როგორც სჩვეოდა, მკაცრი ხმით იკითხა: „მე რა, ისევ ცოცხალი ვარ?!“. ექიმებმა შეშინება ვერც კი მოასწრეს, რომ ყველაფერი თავისით გამოსწორდა...

***bookmix.ru***





ქალი ღამით სასაფლაოსთან მოხვდა, გავლა ეშინია. იქვე მამაკაცი დაინახა და დახმარება სთხოვა.

მიდიან ერთად, მამაკაცი ანეკდოტებს უყვება, აცინებს.

– როგორი მხიარული ბრძანდებით, შიში სულ დამავიწყეთ...

– ეჰ, თქვენ მაშინ უნდა გენახეთ, ცოცხალი რომ ვიყავი...

*****



– ჩაი, როგორც იქნა, ჩაი! – გახარებულმა წამოიყვირა ღვიძლმა და ბედნიერებისგან გონება დაკარგა...

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***



## სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას



შვილი ავთანდილი, რძალი ილონა, შვილიშვილი ალექსანდრე, ძმისშვილი გურამი, ოჯახით, ანთაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლუარსაბ (ლარია) ანთაძე**

**პანაშვიდი:** 17, 18 იანვარს;
**დაკრძალვა:** კვირას, 19 იანვარს;
**მისამართი:** შიო მღვიმელის ქ. №15, მე-9 სართ., ბ.26.

---

ამირან, მარინა, ალექსანდრე, გიორგი, ამირან, მარიამ, გუგული, ნაილი, დალი, მაცაცო ანთაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბიძა და ბაბუა

**ლუარსაბ (ლარია) ანთაძე**

**პანაშვიდი:** 17, 18 იანვარს;
**დაკრძალვა:** კვირას, 19 იანვარს;
**მისამართი:** შიო მღვიმელის ქ. №15, მე-9 სართ., ბ.26.



## სოსო ქოიავას

### გახსენება

განუზომელი სევდით, ტკივილითა და სიცარიელით აღსავსე 20 წელი შესრულდება 19 იანვარს მას შემდეგ, რაც სოსო ქოიავა ჩვენთან აღარ არის. არაკაცის მიერ ნასროლმა ტყვიამ შეწყვიტა ალალი, უზადო კეთილშობილი, 23 წლის ახალგაზრდის სიცოცხლე.

ხანმოკლე იყო ამ ქვეყნად მისი ყოფა, და დრო ყველაფრის მკურნალი არ ყოფილა, რადგან ოჯახსა და მის მეგობრებს სულ უფრო და უფრო გვენატრება ეს იშვიათი სულიერი სილამაზის, მაღალი ზნეობის ვაჟკაცი, სამაგალითო შვილი, ძმა, ბიძა, უერთგულესი მეგობარი და კარგი მოქალაქე. სოსო ქოიავა ყოველთვის იყო საოცრად ფაქიზი, სხვისი ჭირის მოზიარე, უსაზღვროდ მოსიყვარულე ღიმილის ბიჭი.

მისი გარდაცვალების 20 წლისთავზე სულ უფრო და უფრო მეტად ვგრძნობთ, როგორ აკლია ოჯახს, ნათესავებს და მის მეგობრებს ეს ყველასთვის უსაყვარლესი ადამიანი, რომელსაც თან გაჰყვა უამრავი აუხდენელი ოცნება.

დღეს კი გვანუგეშებს მხოლოდ ის, რომ გვჯერა, ნათელშია ჩვენი სოსიკოს სპეტაკი, ლამაზი სული.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## პენტაგონს ელექტრომაგნიტური იმპულსის მქონე ყუმბარების შექმნა სურს



ფილმებში, წიგნებში, თამაშებში ძალიან ხშირად გვხვდება გრანატები, რომლებსაც ელექტრომაგნიტური იმპულსების წარმოქმნა შეუძლიათ.

ჰოდა, დადგა დრო, როცა სამხედრო მეცნიერებმა სამეცნიერო ფანტასტიკიდან ამ გრანატების რეალურ ცხოვრებაში გადმოტანა გადაწყვიტეს. საუბარია მოწყობილობის შექმნაზე, რომელიც ამბოხებულთა ბომბებს გაანადგურებს.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ელექტრომაგნიტური იმპულსის დახმარებით, გრანატა მწყობრიდან გამოიყვანს მოწინააღმდეგის ელექტრონიკას, რომელიც სხვადასხვა ტიპის ასაფეთქებლის აქტივაციისთვის გამოიყენება.

თუკი პენტაგონი შეძლებს და ჩანაფიქრს განახორციელებს, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვნად შემცირდება რისკი, რომელიც თან ახლავს გზების განთავისუფლებას ნაღმებისგან და სხვა ასაფეთქებელი მოწყობილობებისგან.

ამერიკის თავდაცვის სამინისტრო უკვე შეუდგა იმ კომპანიების ბაზების შესწავლას, რომლებსაც ასეთი გრანატების პოტენცია გააჩნიათ. წინასწარი მოთხოვნებით, გრანატა უნდა იყოს მცირე ზომის, მსუბუქი და მოსახერხებელი, რათა ადამიანმა ან რობოტმა მისი შორ მანძილზე გასროლა შეძლოს.

*ukraine.news.net.ua*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**17 იანვარი:** როგორც ჩანს, დღეს ყველაფრით უკმაყოფილო იქნებით, თანაც არა უსაფუძვლოდ, მაგრამ ამით რა შეიცვლება? მოკლედ, უჟმური დღე გელით.

**კურო 22.04-21.05**
**17 იანვარი:** დღეს პროვოკაციებზე ადვილად წამოეგებით, რასაც შეიძლება არაერთი კამათი და დაპირისპირება მოჰყვეს. შეეცადეთ, ამ ყველაფერს იუმორით შეხედოთ, ნერვებს გაუფრთხილდებით.

**ტყუპები 22.05-21.06**
**17 იანვარი:** ისე არაფერი გააკეთოთ და მოიმოქმედოთ, სანამ ყველაფერს კარგად არ აწონდაწონით. ნებისმიერ გაუაზრებელ მოქმედებას სავალალო შედეგები მოჰყვება.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**17 იანვარი:** შეიძლება ძალიან ეჭვიანი აღმოჩნდეთ, რაც ვიღაცას აუცილებლად გაანაწყენებს. თუ ეჭვებისგან განთავისუფლება არ შეგიძლიათ, კარგად „შეფუთეთ“ მაინც.

**ლომი 23.07-22.08**
**17 იანვარი:** დღეს თქვენი ნამდვილი გრძნობების დაფარვა ღიმილის მიღმა მოგიწევთ. რას ფიქრობთ ამა თუ იმ ადამიანზე, ამაზე ხმამაღლა მოგვიანებით თქვით.

**ქალწული 23.08-22.09**
**17 იანვარი:** თუ რაიმე სახის აქტიურ მოქმედებებს აპირებთ, მაქსიმალური პასუხისმგებლობა გმართებთ. დიდია ალბათობა, რომ შეცდომები დაუშვათ.

**სასწორი 23.09-22.10**
**17 იანვარი:** გარშემომყოფებთან ურთიერთობაშიო შეიძლება პრობლემები გაგიჩნდეთ, თანაც სერიოზული. იქნებ დღეს რაიმე სახის ურთიერთობებზე უარი თქვათ.

**მორიელი 23.10-21.11**
**17 იანვარი:** ცხოვრების ნათელ ზოლზე დგახართ. ისარგებლეთ ამით, მაქსიმალურად გამოიყენეთ ეს დრო და არ ინანებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**17 იანვარი:** ამბიციები ცოტათი მაინც დაიოკეთ. უშუალობის დემონსტრირება ზოგჯერ საქმეებს სასიკეთოდ ადგება. თანაც რამდენიმე კონფლიქტსაც გადაწყვეტთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**17 იანვარი:** ეს დღე შეიძლება მოსაწყენი მოგეჩვენოთ, მაგრამ ამბების არარსებობაც ხომ კარგი ამბავია. ცოტას მაინც დაისვენებთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**17 იანვარი:** რეალური შანსი მოგეცემათ, გარშემომყოფნი თქვენს დაკრულზე აცეკვოთ. რამე ტაქტიკა მოიფიქრეთ, რაც ამისგან სარგებელს მიგაღებინებთ.

**თევზები 19.02-20.03**
**17 იანვარი:** დღეს თქვენი საუკეთესო თვისებების წარმოჩენის საშუალება მოგეცემათ. ოღონდ თვითრეკლამაში არ გადაამეტოთ, თორემ ყველაფერს გააფუჭებთ.

„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.

გაზეთები ალია და ქრონიკა

სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს, ასევე სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## მეცნიერები ბრაილის შრიფტს თვალის ბადურაში ჩანერგავენ



ტექნოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწილი თვალის ბადურის პროთეზის შექმნაა, რომელიც უსინათლო ადამიანს საშუალებას მისცემს, „დაინახოს“ სხვადასხვა ობიექტი, აღიქვას მათი ფერები, მოძრაობა.

ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდა სათვალეზე დასამაგრებელი ვიდეოკამერისა და ქამარზე მისაბმელი მინი კომპიუტერის წყალობით, რომლებიც პაციენტმა მუდმივად თან უნდა იქონიოს.

სიახლის ავტორი კომპანია „არგუსია“, რომლის მიერ შექმნილი მოწყობილობის მუშაობის პრინციპი ასეთია: პროთეზი უსინათლო ადამიანის თვალში იმპლანტირდება, ბადურას ზედაპირზე დაიტანება მატრიცა, რომელიც 60 ელექტროდისგან შედგება. სათვალეზე დამაგრებული ვიდეოკამერა სინათლეს იღებს, რომელიც ელექტრონულ იმპულსებად გარდაიქმნება. შემდეგ ეს იმპულსები ელექტროდებზე ვრცელდება, რომლებიც, თავის მხრივ, მხედველობითი ნერვის უჯრედებს ასტიმულირებენ. მორიგ ეტაპზე საქმეში უკვე ადამიანის თავის ტვინი ერთვება, რომელიც გამოსახულებას ნათელი და მუქი წერტილებისგან ქმნის. პაციენტებს მოუწევთ იმის შესწავლა, მოახდინონ მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტირება და რეალურ სამყაროსთან შეფარდება.

ექსპერიმენტებში მოხალისემ ყოველი სიმბოლო ნახევარი წამით დაინახა. ასევე, განასხვავა ცალკეული ასოები სიტყვებში, რომლებიც არაუმეტეს ოთხი ასოსგან შედგებოდა. შემთხვევათა 89 პროცენტში პაციენტმა გაარჩია ცალკეული სიმბოლოები, ხოლო 80 პროცენტში ოთხასოიანი სიტყვები სწორად ამოიცნო.

რამდენად მალე იქნება ხელმისაწვდომი ეს მოწყობილობა და რა იქნება მისი ფასი, სამწუხაროდ, აღარ ზუსტდება.

*ecolife.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



სომხურ რადიოს ჰკითხეს:

– მართალია, რომ ერევნელმა აშოტ აკოფიანმა ლატარიაში მანქანა მოიგო?

სომხურმა რადიომ უპასუხა:

– დიახ, მართალია! უბრალოდ, არა აშოტ აკოფიანმა, არამედ ტიგრან გევორქიანმა, ოღონდ არა ერევნიდან, არამედ ლენინაკანიდან, მაგრამ არა მანქანა, არამედ ფული, თანაც არა ლატარიაში, არამედ ბანქოში და მოიგო კი არა, წააგო!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

„ალია-ჰოლდინგი“

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძპაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ძევანიშვილი

რედაქციის მისამართი:
აკადემქალაქი, I კვარტალი
მე-4 კორპ.
I სართული
(ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 00.55

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.